საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. ● № 54 (327) ● შაბათი, 4 აპრილი, 1992 წელი ● ფასი 1 მანეთი.

წუხელ შევიტყვეთ

საქართველო დღეისათვის ცნეს

იაპონიამ

ტოკიო, იაპონიამ ცნო საქართველო, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო. ეს გადაწყვეტილება მიღებულია დღეს მინისტრთა კაბინეტის მორიგ სხდომაზე.

საქართველო გახდა ყოფილი 15 საბჭოთა რესპუბლიკიდან ბოლო რესპუბლიკა, რომელიც ცნო იაპონიის მთავრობამ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ. რამდენიმე თვის განმავლობაში იაპონია თავს იკავებდა ამ ნაბიჯისგან საქართველოში მიმდინარე შეიარაღებულ შეტაკებათა გამო.

როგორც იაპონიის მთავრობის ოფიციალურმა წარმომადგენელმა განაცხადა, საქართველოსთან დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება დაეფუძნება იმავე პრინციპებს, რომლებიც გამოყენებული იყო დანარჩენი ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების მიმართ. ისინი ითვალისწინებენ, რომ საქართველოს ხელმძღვანელობა იკისრებს ვალდებულებას დაიცვას ყველა საერთაშორისო შეთანხმება, რომლებიც თავის დროზე დაიდო საბჭოთა კავშირთან, დაეთანხმოს ბირთვული იარაღისადმი ერთიან კონტროლს, პატივი სცეს ადამიანის უფლებებს, აგრეთვე დაადასტუროს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ერთგულება.

ამჟამად იაპონიამ უკვე დაამყარა დიპლომატიური ურთიერთობა სსრ კავშირის ყველა ყოფილ რესპუბლიკასთან, სომხეთის, აზერბაიჯანისა და თურქმენეთის გარდა.

შვედეთმა

სტოკჰოლმი. შვედეთმა ოფიციალურად ცნო საქართველო. ამას იუწყება ქვეყნის საგარეო-პოლიტიკური უწყების პრესსამსახური. გადაწყვეტილება მიიღეს მინისტრთა კაბინეტის აქ გამართულ მორიგ სხდომაზე. ამრიგად, სტოკჰოლმმა დაამთავრა საბჭოთა კავშირის ყოფილი რესპუბლიკების სახელმწიფო დამოუკიდებლობის ცნობის პროცესი.

ვიეტნამმა

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსთვის ამ დღეებში გამოგზავნილ წერილში ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის საელჩო რუსეთის ფედერაციაში კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ 1991 წლის 27 დეკემბერს ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობამ ოფიციალურად ცნო საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობა და მზად არის დიპლომატიური ურთიერთობა დაამყაროს მასთან.

ადასტურებს რა თავისი მთავრობის განცხადებას, ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის საელჩო რუსეთის ფედერაციაში იმედოვნებს, რომ თანამშრომლობა და ტრადიციული მეგობრობა ქართველ და ვიეტნამელ ხალხს შორის მომავალშიც განვითარდება და განმტკიცდება.

ამ დღეებში

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკის“ და საქინფორმის სპეციალური კორესპონდენტები

მოვლენა

ფაქტი

კომენტარი

უკანასკნელ საათს

წინააღმდეგობის გაუწევლად

როგორც საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრმა შეგვატყობინა, გუშინ, 3 აპრილს დღის პირველ ნახევარში ეროვნული გვარდიის, „მხედრიონის“ და შინაგანი ჯარის ნაწილები წინააღმდეგობის გაუწევლად შევიდნენ აბაშაში, სენაკში, [illegible], ფოთში და მიადგნენ ზუგდიდს.

ფოთში მთავრობის ძალების შესვლისას ექსპრეზიდენტის მომხრე შეიარაღებული პირების ნაწილი, დაახლოებით 60 კაცი, ორი კატარღით ზღვაში გავიდა. ამ ცნობის მიღებისას ერთი კატარღა უკვე დაკავებული იყო მესაზღვრეების მიერ.

მეგობრობისა და თანამშრომლობის ახალი ფურცელი

საქართველო და რუსეთი ცდილობენ თავიანთი ურთიერთობა წარმართონ თანასწორუფლებიანობის, კეთილმეზობლობის საფუძველზე, ამასთან სრული პატივისცემით მოეკიდონ ერთმანეთის ინტერესებს. ეს დაადასტურა რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრის ანდრია კოზირევის ვიზიტმა საქართველოში. ამ მოვლენას რესპუბლიკაში ელოდნენ, მისთვის ემზადებოდნენ. ვიზიტი დღე-ღამეზე ოდნავ ნაკლებ ხანს გაგრძელდა. მაგრამ, ალსავსე იყო ორი მეზობელი სახელმწიფოს შემდგომი თანამშრომლობისა და ურთიერთობის ფუძემდებელი დოკუმენტების დადებისთვის მზადების მნიშვნელოვანი საქმეებით, რესპუბლიკის ხელმძღვანელებთან შეხვედრებით, მოლაპარაკებითა და პრესკონფერენციებით.

წარუდგინა რა ჟურნალისტებს რუსეთის დელეგაციის წევრები რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარესთან ედუარდ შევარდნაძესთან კონფიდენციალური შეხვედრის შემდეგ, ანდრია კოზირევმა აღნიშნა, თუ რა მასშტაბური იყო იგი. დელეგაციაში შედიოდნენ რუსეთის უზენაესი საბჭოს წარმომადგენლები, მისი ფრაქციებისა და ქვეკომიტეტების ხელმძღვანელები, სახალხო დეპუტატები, სხვადასხვა უწყებების, მათ შორის სამხედრო უწყების პასუხისმგებელი მუშაკები. როგორც მინისტრმა ბრძანა, „საქმე ეხება არა ფორმალობებს, არამედ იმას, რომ ვაპირებთ ყველა პრობლემაზე სერიოზულად, სოლიდურად ვიმუშაოთ. ჩვენი მეგობრობა ოთხ საუკუნეს ითვლის, წინ კი უფრო მეტიც გველის“.

შეაფასეს რა დახურულ დარბაზში მოლაპარაკების შედეგები, ედუარდ შევარდნაძემ და ანდრია კოზირევმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ იგი მიმდინარეობდა ურთიერთგაგების ვითარებაში, ნდობით აღსავსე ტონით. იგი ეხებოდა რუსეთისა და საქართველოს „დიდი ხელშეკრულების“ მომზადებასთან დაკავშირებულ ფართო წრის საკითხებს. ითქვა, რომ სამუშაო ჯგუფები აქტიურად მუშაობენ საქართველოს და რუსეთის ურთიერთობის ფუძემდებელი დოკუმენტების პაკეტზე.

უპასუხა რა კითხვას, თუ რა სტატუსი ექნება რუსეთისა და საქართველოს ურთიერთობას დიდი ხელშეკრულების ხელმოწერამდე, ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ ხაზგასმით აღნიშნა: როცა საქმე ეხება რუსეთ-საქართველოს კავშირ-ურთიერთობას დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებას, ეს ფორმალური მხარეა. არსებითად, — თქვა მან, — ჩვენი ურთიერთობა რუსეთთან დიპლომატიურზე უფრო მეტია, ჩვენ მუდმივი ურთიერთობა გვაქვს ერთმანეთთან, აქტიურად მიმდინარეობს სხვადასხვა დარგში თანამშრომლობის განმტკიცების პროცესი.

შეეხნენ რა შიდა ქართლში შექმნილ სიტუაციას, მხარეებმა აღნიშნეს, რომ ეს უმწვავესი პრობლემაა, რომელიც უაღრესად სერიოზულ ყურადღებას მოითხოვს. ამავე დროს მათ ხაზი გაუსვეს, რომ კონფლიქტის სამართლიანი მოწესრიგება სავსებით შესაძლებელია. მთავარი ამოცანაა შევქმნათ კეთილმოსურნეობის ატმოსფერო, საკითხი გადავწყვიტოთ ცივილიზებულ საფუძველზე.

— უდავოა, საჭირო იქნება გარკვეული დრო, მაგრამ კონფლიქტის მოწესრიგების შესაძლებლობას ოპტიმიზმით შევყურებ, — განაცხადა ედუარდ შევარდნაძემ.

საუბრისა და მოლაპარაკების დროს აღიძრა საქართველოში ყოფილი საბჭოთა არმიის ჯარების ყოფნასთან დაკავშირებული პრობლემები. გამოითქვა ერთიანი აზრი, რომ ეს პრობლემა გადაიჭრება დიდი ხელშეკრულების ფარგლებში, სადაც ნავარაუდევია სპეციალური კარი სამხედრო თანამშრომლობის შესახებ, განსაზღვრულია ჯარების ყოფნისა და დისლოკაციის ვადები და მათი სტატუსი.

საქართველოში ედუარდ შევარდნაძის ჩამოსვლის შესახებ უცხოელ ჟურნალისტთა კითხვაზე სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ უპასუხა: „არ შემეძლო არ დავთანხმებულიყავი ამ მოწვევას, ეს ძნელი, გაბედული ნაბიჯია, მაგრამ მიმაჩნია, რომ სწორი არჩევანი მოვახდინე“.

ბატონი ანდრია კოზირევი და მისი თანმხლები პირნი მიიღო საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა თენგიზ სიგუამ. შინაარსიან, მეგობრულ საუბარში აღინიშნა, რომ ორივე ქვეყანაში მიმდინარე პროცესების კონტექსტით მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა დაეთმოს საქართველო-რუსეთის ურთიერთობას, რომელსაც ღრმა ისტორიული ფესვები და მდიდარი ტრადიციები აქვს. თანამოსაუბრეთა საერთო აზრით, ამ ურთიერთობაში ყოველივე პოზიტიურის დაცვა და გამრავლება შეესაბამება საქართველოს და რუსეთის ხალხთა, ევროპაში მშვიდობისა და თანამშრომლობის ძირეულ ინტერესებს.

ბატონმა თენგიზ სიგუამ სტუმარს გააცნო საქართველოში შექმნილი პოლიტიკური ვითარება, დემოკრატიული გარდაქმნები, რომლებიც ცხოვრების ყველა დარგში მიმდინარეობს, მიწის რეფორმის, პრივატიზაციის მიმდინარეობა, საბაზრო ურთიერთობის განვითარება.

კმაყოფილებით აღინიშნა, რომ საცაა დამთავრდება რუსეთისა და საქართველოს სავაჭრო-ეკონომიკურ შეთანხმებაზე მუშაობა. ნავარაუდევია, რომ მას ხელს მოაწერენ მიმდინარე წლის მაისის დამდეგს.

გაიმართა რუსეთისა და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრების ანდრია კოზირევისა და ალექსანდრე ჩიკვაიძის საუბარი.

ბატონი ანდრია კოზირევი და დელეგაციის წევრები ეწვივნენ სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარესს ილია მეორეს.

გამგზავრების წინ ანდრია კოზირევი შეხვდა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალს გენერალ-პოლკოვნიკ ვალერი პატრიკეევს. განიხილეს საქართველოს ტერიტორიაზე ყოფილი საბჭოთა არმიის ქვეგანაყოფების ყოფნის პირობებთან დაკავშირებულ საკითხთა კომპლექსი.

გაიმართა აგრეთვე ბატონ ანდრია კოზირევის საუბარი თბილისში მყოფ ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს თავმჯდომარესთან ირჟი დინსტბირთან. მხარეებმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრები ყარაბაღში კონფლიქტის მოწესრიგების პრობლემებზე.

ვიზიტის დაგვირგვინება გახდა საქართველოს რესპუბლიკისა და რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრების ერთობლივი განცხადება.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს კონფერენცდარბაზში გაიმართა პრესკონფერენცია. ქართველ და უცხოელ ჟურნალისტთა კითხვებს უპასუხეს ანდრია კოზირევმა და ალექსანდრე ჩიკვაიძემ.

3 აპრილს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ანდრია კოზირევი ერევანში გაემგზავრა. თბილისის აეროპორტში იგი გააცილეს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ალექსანდრე ჩიკვაიძემ და სხვა ოფიციალურმა პირებმა.

●

სურათებზე: საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ედუარდ შევარდნაძე და საგარეო საქმეთა მინისტრი ალექსანდრე ჩიკვაიძე რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრთან ანდრია კოზირევთან შეხვედრის დროს; მიღება საპატრიარქოში; შეხვედრა საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებელთან თენგიზ სიგუასთან.

გივი კიკვაძის, სერგო ედიშერაშვილისა (საქინფორმის ფოტოქრონიკა) და **მიხეილ ჯაფარიძის** (ფოტოსააგენტო „დრო“) ფოტო.

საქართველოს რესპუბლიკისა და რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრების ერთობლივი

განცხადება

მოლაპარაკების შედეგად, რომელიც 2-3 აპრილს გაიმართა საქართველოს რესპუბლიკაში რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ვ. კოზირევის სამუშაო ვიზიტის დროს, მიღწეულია შემდეგი მორიგება.

საქართველოს რესპუბლიკა და რუსეთის ფედერაცია, რომლებიც ცნობენ ერთმანეთს სუვერენულ სახელმწიფოებად, თავიანთ ურთიერთობას აგებენ საერთაშორისო სამართლის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების, ჰელსინკის საბოლოო აქტისა და ახალი ევროპისთვის პარიზის ქარტიის პრინციპებისა და ნორმების საფუძველზე.

ისინი ვალდებულებას კისრულობენ პატივი სცენ ერთმანეთის კანონიერ ინტერესებს, ტერიტორიულ მთლიანობას და საზღვრების ურღვევობას, არ გამოიყენონ ძალა ან ძალით დამუქრება, მათ შორის ზემოქმედების ეკონომიკური და სხვა საშუალებები.

ორივე მხარე ერთგულად მიჰყვება ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობის, ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების, ეროვნულ უმცირესობათა უფლებების პატივისცემის პრინციპებს, აგრეთვე ხალხთა უფლებას თავად განაგებდნენ საკუთარ ბედს.

საქართველოს რესპუბლიკა და რუსეთის ფედერაცია აპირებენ განავითარონ თანასწორუფლებიანი და ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობა უშიშროების პოლიტიკის, ეკონომიკის, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის, მეცნიერების, ტექნიკის, ვაჭრობის დარგში, აგრეთვე ჰუმანიტარულ სფეროში.

მინისტრები შეთანხმდნენ, რომ დაუყოვნებლივ უნდა დაიწყოს მუშაობა ყოვლისმომცველი ხელშეკრულების მოსამზადებლად, რომელიც არეგულირებს ორი სახელმწიფოს ურთიერთობის ძირითად ასპექტებს.

ამ მიზნის განსახორციელებლად გადაწყვეტილია შეიქმნას ერთობლივი სამუშაო ჯგუფები, რომლებმაც შემჭიდროებულ ვადებში უნდა შეიმუშაონ ასეთი ხელშეკრულების პროექტი.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ედუარდ შევარდნაძემ რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი ბორის ელცინი ოფიციალურ ვიზიტად მოიწვია საქართველოში.

მინისტრები შეთანხმდნენ განავითარონ ორი ქვეყნის დიპლომატიური სამსახურების თანამშრომლობა, რეგულარულად მოაწყონ პოლიტიკური კონსულტაციები შინაგან საქმეთა სამინისტროებს შორის ითანამშრომლონ და იმოქმედონ საერთაშორისო ორგანიზაციებში.

მხარეები განსაკუთრებულ ყურადღებას დაუთმობენ მრავალმხრივ თანამშრომლობას გარემოს დაცვის დარგში და ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნებას შავი ზღვის რეგიონში.

მინისტრებმა დაადასტურეს, რომ განზრახული აქვთ კეთილმოსურნე სულისკვეთებით მოაგვარონ ყველა საკითხი, რომლებიც შეეხება საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებულ რუსეთის ფედერაციის შეიარაღებულ ძალებს და დადონ შესაბამისი შეთანხმებანი, რომლებიც დაარეგულირებს საქართველოში ჯარების ყოფნის ყველა ასპექტს, მათ შორის მათს სამართლებრივ სტატუსს, ყოფნის ვადებს და სხვა.

რუსეთის მხარემ შეშფოთება გამოთქვა შიდა ქართლში შექმნილი სიტუაციის გამო. საქართველოს მხარემ განაცხადა, რომ ისწრაფვის და მზად არის მიაღწიოს ოს და ქართველ მოსახლეობას შორის კონფლიქტის სამართლიან მოწესრიგებას კანონიერების აღდგენისა და საყოველთაოდ მიღებული საერთაშორისო ნორმების საფუძველზე.

მინისტრებმა დაადასტურეს თავიანთ მთავრობათა სურვილი განავითარონ მეგობრული, კეთილმეზობლური, პარტნიორული ურთიერთობა ორი ქვეყნის ხალხთა შორის. ისინი შეთანხმდნენ საგარეო საქმეთა მინისტრების რეგულარული შეხვედრების მოწყობის თაობაზე.

აღინიშნა, რომ რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრის ვიზიტი, მისი საუბრები საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარესთან ედუარდ შევარდნაძესთან, დროებითი მთავრობის მეთაურთან თენგიზ სიგუასთან, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქთან ილია მეორესთან ახალ თავს იწყებს საქართველო-რუსეთის ურთიერთობის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში.

საქართველო — ჩეხეთ-სლოვაკეთი:

დამყარდა დიპლომატიური ურთიერთობა

3 აპრილს საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროში გაიმართა საქართველოს რესპუბლიკის და ჩეხეთ-სლოვაკეთის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრების ალექსანდრე ჩიკვაიძის და ირჟი დინსტბირის შეხვედრა, რომელზეც ითქვა, რომ ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობა დამყარდა საელჩოების დონეზე. ეს ურთიერთობა დაფუძნებული იქნება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების, ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის თათბირის საბოლოო აქტის, ახალი ევროპისთვის პარიზის ქარტიისა და დიპლომატიური ურთიერთობის შესახებ ვენის კონვენციის პრინციპებზე.

დასასრულს მხარეებმა გაცვალეს ნოტები.

იმავე დღეს საგარეო საქმეთა სამინისტროში ერთმანეთს შეხვდნენ საქართველოს რესპუბლიკის, რუსეთის ფედერაციისა და ჩეხეთ-სლოვაკეთის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრები ალექსანდრე ჩიკვაიძე, ანდრია კოზირევი და ირჟი დინსტბირი. შეხვედრას აგრეთვე ესწრებოდნენ გერმანიის, შვეციისა და ამერიკის შეერთებული შტატების ელჩები რუსეთში: ვილჰელმ ჰენკი, ლენარდ მირსტეჰი, ჯონ მარესკა, ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის ჩეხეთ-სლოვაკეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განყოფილების დირექტორი ივანე ბუშნიაკი, ამავე განყოფილების თანამშრომელი ანდრია ციმა, ამერიკა-ვენის დელეგაციის წევრები სკოტ ტმეირი და გენერალი დევიტი, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ლტოლვილების საკითხთა უმაღლესი რანგის კომისრის წარმომადგენელი ოლეგ ანდრისეკი, ჩეხეთ-სლოვაკეთის ელჩი თეირანში ირჟი ონსკალდი, ჩეხეთ-სლოვაკეთის მოსკოვის საელჩოს მრჩეველი მილან ტოკარი, აგრეთვე საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე თედო ჯაფარიძე.

თედო ნიკოლაიშვილის ფოტო.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროსაგან

საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტრო ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა გადამდგარი გენერალ-მაიორი

ივანე დიმიტრის ძე შაიშმელაშვილი,

და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.

საქართველოს რესპუბლიკის სპორტისა და ტურიზმის სამინისტროსაგან

საქართველოს რესპუბლიკის სპორტისა და ტურიზმის სამინისტრო ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ მოულოდნელად გარდაიცვალა მსოფლიო და ოლიმპიური ასპარეზობის ჩემპიონი ფარიკაობაში, სპორტის დამსახურებული ოსტატი

ნუგზარ პლატონის ძე ასათიანი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს რესპუბლიკის სპორტისა და ტურიზმის სამინისტრომ შექმნა ნუგზარ ასათიანის დამკრძალავი კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა. გოგელია (თავმჯდომარე), ჯ. ბაგრატიონი, ს. ხელაშვილი, ვ. აფციაური, ო. გოგიაშვილი, მ. კოსტავა, ი. ოსიპოვი და მ. ხაზვაძე.

საქართველოს სახელმწიფო საბჭოში

აღვადგინოთ ცხოვრების ნორმალური რიტმი

საქართველოს სახელმწიფო საბჭოს 2 აპრილს გამართულ სხდომაზე რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა თენგიზ სიგუამ საბჭოს წევრებს გააცნო რესპუბლიკაში შექმნილი ვითარება. მან თქვა, რომ დასავლეთ საქართველოში გაგზავნილი შეიარაღებული ძალების ქვეგანაყოფები ძირითადად თავმოყრილია სამტრედიაში. სრულიად გაუმართლებელი მსხვერპლის თავიდან ასაცილებლად გადაწყვეტილია შეჩერდეს აქტიური საბრძოლო მოქმედება, თუმცა სახელმწიფო საბჭოს ამასწინანდელ განცხადებასა და ზუგდიდსა და ახლომდებარე რაიონებში მოქმედი რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელობის ულტიმატუმში ჩამოყალიბებული მოთხოვნები ძალაში რჩება და აქ არავითარი კომპრომისი არ შეიძლება იყოს. კონფლიქტი რაც შეიძლება მალე უნდა მოგვარდეს, მაგრამ ამავე დროს შეიარაღებული კონფრონტაციის ინიციატორები და ორგანიზატორები აუცილებლად პასუხს აგებენ კანონის წინაშე. ანარქიასა და თვითნებობას საბოლოოდ უნდა მოეღოს ბოლო, ხაზგასმით აღნიშნა მან. ამ დღეებში რთულ კრიმინოგენურ ვითარებას დაემატა კიდევ ხაშურსა და ბორჯომში თვითგასამართლების შემთხვევები.

თენგიზ სიგუამ გამოთქვა შეშფოთება აფხაზეთში შექმნილი სიტუაციის გამო და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამ ბოლო ხანს იგი იქ საგრძნობლად გამწვავდა ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობის დესტრუქციული მოქმედების გამო, რომელიც სულ უფრო აშკარად უგულებელყოფს კონსტიტუციის ელემენტარულ მოთხოვნებს, დგამს ნაბიჯებს, რომლებიც ბღალავს მკვიდრი ქართველი მოსახლეობის ინტერესებს. კადრების გადაადგილება აშკარად ტენდენციური ხასიათისაა, ხოლო აქ მოქმედი გვარდია დაკომპლექტებულია მხოლოდ აფხაზი ეროვნების პირებით.

ამასთან დაკავშირებით სხდომაზე გამოითქვა აზრი, რომ მიზანშეწონილია ავტონომიურ რესპუბლიკაში შეიქმნას ადგილობრივი გვარდიის სხვა ქვეგანაყოფები, რომლებშიც ქართველი ეროვნების მოქალაქეებიც შევლენ.

თუმცა რკინიგზამ მუშაობა განაახლა, აქაურ მდგომარეობას ჯერ კიდევ ნორმალურს მაინც ვერ ვუწოდებთ, ითქვა სხდომაზე, კვლავ ხდება ფარული საბოტაჟის შემთხვევები, რაც ხელს უშლის რკინიგზის სხვადასხვა სამსახურის სრულფასოვან ფუნქციონირებას. ხოლო, რაც შეეხება ავტოტრანსპორტს, მისი მდგომარეობა დასავლეთ საქართველოს რაიონებში ძალზე არასახარბიელოა. ავტომეურნეობებში პრაქტიკულად არ არის ხელმძღვანელობა. საერთო ანგარიშით გატაცებულია დაახლოებით ათასი ერთეული სატრანსპორტო საშუალება. არადა, იმ პირთა ჯგუფები, რომლებიც ცდილობენ დესტაბილიზაცია შეიტანონ რესპუბლიკაში შექმნილ ვითარებაში, იოლად იღებენ თავიანთ განკარგულებაში ათობით ავტობუსს. საერთოდ, აღინიშნა სხდომაზე, უნდა უზრუნველვყოთ საიმედო დაცვა ტრანსპორტზე, განსაკუთრებით რკინიგზაზე, რათა თავიდან ავიცილოთ შესაძლო დივერსიები, ტვირთის დატაცება.

ახლა, როცა საგაზაფხულო-საველე სამუშაოების პერიოდი დადგა, განსაკუთრებით საჭიროა რესპუბლიკის უზრუნველყოფა სათბობ-ენერგეტიკული რესურსებით. აქ, როგორც სხდომაზე, აღინიშნა, უკვე არის დადებითი ძვრები. სოფელი პრაქტიკულად სრულად არის მომარაგებული დიზელის სათბობით, უახლოეს დღეებში ამუშავდება ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა და ეს საშუალებას მოგვცემს მოვსპოთ ბენზინისა და საავიაციო ნავთის დეფიციტი. რამდენადმე გაუმჯობესდა მდგომარეობა ელექტროენერგიასთან დაკავშირებითაც. განახლდა პროდუქციის გამოშვება მთელ რიგ სამრეწველო საწარმოებში, გაჩნდა თბილისის მეტროპოლიტენის მუშაობის ერთი საათით გახანგრძლივების შესაძლებლობანიც.

სხდომაზე განიხილეს აგრეთვე სხვა საკითხები.

თენგიზ ნიკოლაიშვილი.

სრული ურთიერთგაგების ატმოსფეროში

3 აპრილს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ედუარდ შევარდნაძემ მიიღო ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მონაწილე ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს თავმჯდომარე ჩეხეთ-სლოვაკეთის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ირჟი დინსტბირი, აგრეთვე აზერბაიჯანში, ყარაბაღსა და სომხეთში ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის საბჭოს მისიის წევრები.

შეხვედრაში მონაწილეობდნენ ჩეხეთ-სლოვაკეთის ფედერაციული რესპუბლიკის ელჩები მოსკოვსა და თეირანში.

ბატონმა ირჟი დინსტბირმა ე. ა. შევარდნაძეს გააცნო აზერბაიჯანში, ყარაბაღსა და სომხეთში ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის საბჭოს მისიის მუშაობის შედეგები. მან თქვა, თუ როგორ არის მთიანი ყარაბაღის გარშემო კონფლიქტის მოწესრიგების თაობაზე ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის კონფერენციის მოწვევის საქმე. არსებობს მხარეთა საერთო შეთანხმება, რომ აუცილებელია კონფერენციის მოწვევა უახლოეს ხანში. ვარაუდობენ, რომ კონფერენციაში მონაწილეობას მიიღებენ ყარაბაღის წარმომადგენლებიც.

აპირებენ რამდენიმე სამუშაო ჯგუფის შექმნას, რომლებიც მოწესრიგების სხვადასხვა ასპექტზე იმუშავებენ.

ბატონმა ირჟი დინსტბირმა გამოთქვა სურვილი, რომ საქართველოს წარმომადგენლებმა მიიღონ მონაწილეობა ამ ჯგუფის მუშაობაში.

ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ მაღალი შეფასება მისცა ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის განზრახვას აქტიურად ჩაებას ყარაბაღის პრობლემების გადაწყვეტაში და კმაყოფილება გამოთქვა მისიის მუშაობის გამო რეგიონში მისი ამჟამინდელი ყოფნის დროს. მან განაცხადა, რომ საქართველო მზად არის მიიღოს მონაწილეობა რეგიონალური სტაბილურობისთვის ჯგუფის მუშაობაში.

მისიის წევრებს დაჰპირდნენ, რომ საქართველო ყოველნაირად შეუწყობს ხელს ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის ძალისხმევას და თავის მხრივ ყველაფერს იღონებს რეგიონში დაზავების მისაღწევად.

ედუარდ შევარდნაძემ ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მისიას წარმატებანი უსურვა ყარაბაღის მდგომარეობის მოწესრიგებაში.

საუბარმა სრული ურთიერთგაგებისა და კონსტრუქციული თანამოქმედების ატმოსფეროში ჩაიარა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ირაკლი ქორდანია:

ჩვენი უპირველესი საზრუნავია ეკონომიკის კრიზისიდან გამოყვანის სამეცნიერო-ტექნიკური საფუძვლების შემუშავება

საუბარი საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებისა და ტექნიკის მინისტრთან

— ბატონო ირაკლი! რით განსხვავდება ახლანდელი მეცნიერებისა და ტექნიკის სამინისტრო კომუნისტური ხელისუფლების დროს გაუქმებული მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტისაგან?

— უწინარეს ყოვლისა უნდა გავიხსენოთ, რომ ყოფილი კომიტეტი პრაქტიკულად იყო შესაბამისი საკავშირო უწყების რეგიონული ქვედანაყოფი, რომელსაც სსრ კავშირის ერთიანი მეცნიერულ-ტექნიკური პოლიტიკის რესპუბლიკაში გატარების მეთოდოლოგიურ-ფინანსური მომსახურება ევალებოდა. კომიტეტის ყოველი ცდა — ემოქმედა რესპუბლიკის თავისებურებათა გათვალისწინებით — მძლავრ წინააღმდეგობასა და ზოგჯერ გადაულახავ ბარიერებს აწყდებოდა. არ უნდა გამოვრიცხოთ რომ იგი, თავის დროზე, სწორედ ამგვარი სწრაფვის ასაკვეთად გაუქმდა. დღევანდელი სამინისტრო კი სუვერენული სახელმწიფოს დარგთაშორისი მმართველობითი სტრუქტურაა. მან უნდა ჩამოაყალიბოს რესპუბლიკის ეროვნული მეურნეობის მეცნიერულ-ტექნოლოგიური განვითარების სტრატეგია და განსაზღვროს პრიორიტეტული მიმართულებანი. მეტად საპასუხისმგებლო ფუნქციაა აგრეთვე გრძელვადიან სტრუქტურულ-ინვესტიციური პოლიტიკის ჩამოყალიბებაში მონაწილეობა, ქვეყნის ინტელექტუალური პოტენციალის კომპლექსური გამოყენებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა.

ყოფილი კომიტეტი მოკლებული იყო ე. წ. საკავშირო დაქვემდებარების მეურნეობაში სამეცნიერო-ტექნიკური განვითარების პროცესებზე რეალური ზემოქმედების შესაძლებლობებს მაშინ, როცა სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის ბირთვი სწორედ აქ არის თავმოყრილი. დღეს პირიქითაა.

სამინისტროში ჩამოყალიბებულია ან ყალიბდება საპატენტო, სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და სერთიფიკაციის კომპლექსური ტექნოლოგიური ექსპერტიზის, სამეცნიერო და სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების ატესტაციის ახალი ეროვნული სამსახურები და ქვედანაყოფები.

— ჩვენი წინსვლის ერთ-ერთი მძლავრი ფაქტორი უნდა გახდეს მსოფლიო გამოცდილების გააზრება და გაზიარება. არის თუ არა თქვენი სამინისტროს ანალოგიური სტრუქტურები საზღვარგარეთის წამყვან ქვეყნებში?

— არის. მრავალ ქვეყანაში ევროპით დაწყებული (გერმანია, საფრანგეთი) და აფრიკული კოტ დე ივუარით დამთავრებული, ამგვარ სამთავრობო სტრუქტურებს მეცნიერებისა და ტექნოლოგიის სამინისტრო ეწოდება. ასეა დიდ ბრიტანეთში, იტალიასა და ნიდერლანდებში, იაპონიასა და სამხრეთ კორეაში, პოლონეთსა და უნგრეთში.

ცოტა ხნის წინ ასეთივე სტრუქტურა შეიქმნა რუსეთის რეფორმატულ მთავრობაში, ყალიბდება სხვა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში.

— მართალია, მთელი ეს პერიოდი, რომელიც სამინისტროს ჩამოყალიბებიდან გავიდა, მეტად მძიმე პერიოდი იყო, მაგრამ მაინც უნდა გკითხოთ, რას აკეთებდა სამინისტრო ერთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში.

— რა თქმა უნდა, გულხელდაკრეფილი არ ვუმზერდით მოვლენათა მსვლელობას. პირიქით, ჩვენს უმთავრეს მოვალეობად ამ ურთულეს ეტაპზე ეკონომიკის კრიზისიდან გამოყვანის სამეცნიერო-ტექნიკური საფუძვლების დამუშავება მიგვაჩნდა და მიგვაჩნია. მეცნიერებათა აკადემიასთან, სამეცნიერო-კვლევით ორგანიზაციებთან, საწარმოებსა და დარგობრივ სამინისტროებთან კონტაქტით სისტემატურად ვმუშაობთ სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების კონკრეტული საკითხების გადასაწყვეტად. კერძოდ, მხედველობაში მაქვს ადგილობრივი ნედლეულის ბაზაზე ისეთი დეფიციტური პროდუქტების, წარმოების ტექნოლოგიათა შემუშავება და გამოყენება, როგორიცაა საფანჯრე მინა, კალციუმის კარბიდი, კალცინირებული სოდა, შემკვრელი მასალები, გალვანური ელემენტები. აგრეთვე თერმული წყლების საბადოებზე წყლის ხარისხის ამაღლებისა და დანადგარების ხანგამძლეობისათვის კრისტალიზატორების დანერგვა, ბიოგაზის გამოყენებისა და მცირე ჰიდროენერგეტიკის განვითარების ტექნიკურ-ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტა, ნავთობის გამომუშავებულ საბადოებზე გაზსაცავების შექმნა, რეგიონებისა და დარგების სპეციფიკის გათვალისწინებით სოფლის მეურნეობისა და, განსაკუთრებით, ფერმერული მეურნეობებისათვის მექანიზმებისა და მანქანა-იარაღების, კვებისა და მანქანათმშენებლობის დარგებისათვის შემფუთავ-დამფასოებელი მოწყობილობების, საყოფაცხოვრებო დანიშნულების ელექტროტექნიკური ხელსაწყოების, აპარატების და პროდუქციის სხვადასხვა სახეობათა შექმნა და წარმოების ათვისება. სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიასთან ერთად დიდ ყურადღებას ვაქცევთ მეცნიერულ ძალთა კოორდინაციას მიწის რესურსების რაციონალურად გამოყენებისა და მისი ნაყოფიერების შენარჩუნება-ამაღლების აგროტექნიკურ საშუალებათა სრულყოფისა, უნიკალური აბორიგენული ჯიშების აღდგენა-გავრცელების, ბიოტექნოლოგიისა და სელექციის თანამედროვე მეთოდების დამუშავება-გამოყენების, საკვებწარმოების ინტენსიფიკაციის, უნარჩენო და მემბრანული ტექნოლოგიების ათვისებისა და სხვა აქტუალური პრობლემების გადასაჭრელად.

ისიც მინდა აღვნიშნო, რომ ხსენებულ პრობლემათა უმეტესობა დარგობრივი ხასიათისაა და მეცნიერებისა და ტექნიკის სამინისტროს მონაწილეობა მათ გადაწყვეტაში საკითხების დიდი აქტუალობით აიხსნება. ამის საუკეთესო მაგალითია ტრანსპორტის სამინისტროს თაოსნობით შემუშავებული ევროპააზიის ქვეყნებს შორის ერთიანი სატრანსპორტო სისტემის რეალიზაციის კონკრეტული წინადადებები, რომელთა განხორციელებასთან დაკავშირებული სამუშაოები უკვე დაიწყო.

— თქვენს უპირველეს პრობლემათა შორის, რა თქმა უნდა, პროდუქციის ხარისხი და კონკურენტუნარიანობაცაა.

— მართალი ბრძანდებით. დღეისათვის ჩვენი რესპუბლიკის საწარმოების მიერ გამოშვებული პროდუქციის ხარისხი და კონკურენტუნარიანობა შორსაა თანამედროვე მოთხოვნილებებისაგან.

ხარისხის გაუმჯობესება მუდმივი პროცესია რომელშიც განსაკუთრებული მნიშვნელობა პროდუქციის განახლებას ენიჭება. ახალი პროდუქციის შესაქმნელად წარმოებული საქმიანობის ძირითადი ელემენტია სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოები, რომელთაც წინ უნდა უსწრებდეს სათანადო მარკეტინგული გამოკვლევები.

ამასთან ჩვენთანაც, როგორც ყველა განვითარებულ ქვეყანაში, სტანდარტიზაცია უნდა გადაიქცეს ქმედით საშუალებად. ასევე საერთაშორისო ბაზარზე გასვლისათვის აუცილებელია პროდუქციის სერთიფიკაცია. ეს უმნიშვნელოვანესი საკითხები კი, ცხადია, მხოლოდ დარგობრივ და საწარმოთა დონეზე ვერ გადაწყდება.

სწორედ ამიტომ მეცნიერებისა და ტექნიკის სამინისტროსა და სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და სერთიფიკაციის დარგის, მისი საქვეუწყებო ორგანიზაციების თაოსნობით მიმდინარეობს რესპუბლიკის საწარმოებში მოქმედი ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაციის და არსებული მეტროლოგიური ბაზის ინვენტარიზაცია და ანალიზი რაც აუცილებელი წინაპირობაა სტანდარტიზაციის ეროვნული სისტემის და სახელმწიფო ეტალონების სამსახურის შესაქმნელად. მთავრდება მოსამზადებელი სამუშაოები საგამოცდო ცენტრებისა და ლაბორატორიების აკრედიტაციისა და პროდუქციის სერთიფიკაციის განსახორციელებლად.

— დასამალი არ არის, რომ ზოგიერთის აზრით, მეცნიერების განვითარებისათვის გამოყოფილი სახსრები არაეფექტიანად იხარჯება.

— მართალია, და მეცნიერებისა და ტექნიკის სამინისტროს წინადადებანი რესპუბლიკაში სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოთა ახალი წესით დაფინანსების შესახებ 1992 წლის ბოლოს წარედგინება მინისტრთა კაბინეტს განსახილველად.

ჩვენს სამინისტროსთან შექმნილია თვალსაჩინო მეცნიერებითა და მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით დაკომპლექტებული დარგობრივი სამეცნიერო-საექსპერტო საბჭოები, რომლებიც განახორციელებენ როგორც ფუნდამენტური, ისე ეროვნული ეკონომიკის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გამოყენებითი ხასიათის კვლევით სამუშაოთა კოორდინაციას.

თანამედროვე პირობებში, მწვავე საფინანსო მდგომარეობის გამო, შეუძლებელი ხდება სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციების მხოლოდ დოტაციაზე შენახვა, ვერ ხერხდება რიგი მნიშვნელოვანი სამეცნიერო-ტექნიკური პროგრამების დაფინანსება. ვითარებას ართულებს ისიც, რომ ამჟამად დღის წესრიგში დგას ყოფილი საკავშირო დაქვემდებარების სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციების რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებებისათვის გადაცემის საკითხი. ასეთი ტიპის 100-ზე მეტი ორგანიზაციიდან 35 საბიუჯეტო დაწესებულება გახლავთ.

ასეთ ვითარებაში, აგრეთვე სოციალური დაცვის სამთავრობო ღონისძიებების რეალიზაციის გათვალისწინებით, მეცნიერების დაფინანსებისათვის გამოსაყოფი საბიუჯეტო თანხების მოცულობა მნიშვნელოვნად გაიზრდება. ცხადია, მთავრობა ყველ ღონეს იხმარს, რომ საქართველოს 80 ათას კაციანი მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალი რაც შეიძლება ნაკლები დანაკარგებით გამოვიდეს ეკონომიკური და საფინანსო კრიზისის მარწუხებიდან, მაგრამ თუნდაც მეცნიერების მინიმალური მოთხოვნილების დაკმაყოფილება მოითხოვს, რომ ამ სფეროს მოხმარდეს ჩვენი საკმაოდ შეკვეცილი ეროვნული პროდუქტის 5-6 პროცენტი, მაშინ, როცა ყველაზე მდიდარ ქვეყნებშიც კი (აშშ, იაპონია, გერმანია და სხვა) მეცნიერების განვითარებაზე ეროვნული პროდუქტის 2,5-3 პროცენტს ხარჯავენ.

ბიუჯეტის მკვეთრი შეზღუდვის გათვალისწინებით, სამინისტროს ინიციატივით რესპუბლიკაში განხორციელდა რამდენიმე ორგანიზაციული ღონისძიება, რომლებმაც ხელი უნდა შეუწყონ აქტუალურ მეცნიერულ კვლევათა გაგრძელებას. მთავრობის გადაწყვეტილებით რესპუბლიკის ყველა დარგობრივ სამინისტროსთან უნდა შეიქმნას მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ცენტრალიზებული ფონდები, რომელთა მეშვეობით განხორციელდება მათი პროფილის სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებათა დაფინანსება.

საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის პირობებში მეცნიერებისა და ტექნოლოგიის განვითარებაზე გაწეული დანახარჯების უკუგების გადიდების მიზნით ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების მსგავსად, სამინისტროსთან შეიქმნა საინოვაციო ფონდი, რომელიც მონაწილეობას მიიღებს ინოვაციის სფეროში რესპუბლიკური საფინანსო-საკრედიტო პოლიტიკის განსაზღვრაში და განახორციელებს სამეცნიერო-ტექნიკურ დამუშავებათა პროექტების დაფინანსებას სუბსიდიების ფორმით ან კონტრაქტებისა და კრედიტის საფუძველზე.

გულახდილად გეტყვით, რომ მეცნიერების განვითარების ფინანსური უზრუნველყოფის ზემოთაღნიშნული ღონისძიებები საკმარისი ვერ იქნება, ამიტომ აკადემიურმა და დარგობრივმა სამეცნიერო დაწესებულებებმა მეტი ინიციატივა უნდა გამოიჩინონ თავიანთი მეცნიერული პროდუქციის არასახელმწიფოებრივი ბაზრის გასაფართოებლად როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საზღვარგარეთ. ქართველ მეცნიერებს აქვთ რეალური შესაძლებლობა გამოძებნონ საზღვარგარეთელი პარტნიორები, უპირველეს ყოვლისა, ეგრეთ წოდებულ „მესამე სამყაროს" ქვეყნებში, რადგან ხელოვნებასთან ერთად სწორედ მეცნიერებაა ინტელექტუალური საქმიანობის ის სფერო, რომლითაც საქართველო მსოფლიოს მრავალ განვითარებად ქვეყანას უსწრებს.

ამ პოტენციურ შესაძლებლობათა რეალიზაციისათვის სამინისტრო განახორციელებს ღონისძიებებს საზღვარგარეთ ლიცენზიებითა და პატენტებით ვაჭრობის ორგანიზაციის სრულყოფისათვის.

განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ საგამომგონებლო საქმიანობის სწორ ორიენტაციას, ეკონომიკურ წახალისებას, ინტელექტუალური საკუთრების სამართლებრივ დაცვას. უკვე გადავდგით საყურადღებო ნაბიჯები. შემუშავებულია კანონპროექტი სამრეწველო საკუთრების შესახებ, რომელიც მოიცავს სამ კანონს, საპატენტო კანონს გამოგონებათა შესახებ, სამრეწველო ნიმუშების შესახებ და სასაქონლო (სავაჭრო) ნიშნების შესახებ. კანონპროექტების ამ პაკეტმა უკვე გაიარა აპრობაცია რესპუბლიკის მრავალ სამინისტროში, უწყებასა და ორგანიზაციაში, აგრეთვე გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საპატენტო უწყებაში, გამოქვეყნდა რესპუბლიკურ პრესაში საჯარო განხილვისათვის.

1 მაისიდან მეცნიერებისა და ტექნიკის სამინისტროში ფუნქციონირებას იწყებს საგამომგონებლო და საპატენტო სამსახური. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ ყველა საავტორო უფლება, რომელიც გაცემული იყო ყოფილი საბჭოთა კავშირის გამომგონებლობის კომიტეტის მიერ, ექვემდებარება ხელახალ რეგისტრაციას ჩვენს უწყებაში, რის შემდეგ მათ ეძლევა უფლება გამოყენებულ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ან გაიყიდოს საზღვარგარეთ ლიცენზიის სახით. ხოლო ახალი გამოგონებები არსებული წესის მიხედვით გაივლის ექსპერტიზას და ავტორები მიიღებენ ქართულ პატენტს.

— როგორ ზრუნავს სამინისტრო საგარეო სამეცნიერო და ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარებაზე?

— უკვე დავამყარეთ უაღრესად პერსპექტიული კავშირები მსოფლიოს მრავალ წამყვან ქვეყანასთან.

საგარეო სამეცნიერო და ეკონომიკური თანამშრომლობა ჩვენი სამინისტროს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქციაა, ამ მხრივ ბევრი საინტერესო რამ კეთდება და უმჯობესია სხვა დროს უფრო ვრცლად ვისაუბროთ ამის შესახებ.

„საუკეთესო მომავალი დღევანდელი მართლწესრიგია"

— ამბობს საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორი ბატონი ვახტანგ რაზმაძე

შტამპები, რომლებითაც სარგებლობენ, როცა რესპუბლიკის გენერალურ პროკურორზე ვახტანგ რაზმაძეზე ლაპარაკობენ, ორგანოებში ოცდაათ წელზე მეტი რომ იმუშავა, — „პროფესიონალი", „კანონის კაცი" — ვერ ვიტყვით, რომ მცდარი იყოს, მაგრამ ზუსტი არ არის. მის საწერ მაგიდაზე არ ძევს ჩვეულებრივ ცნობები საპროკურორო გამოძიების მიმდინარეობის თაობაზე (ამბობენ, ყველა საქმე ზეპირად ახსოვს), სამაგიეროდ, აწყვია ბევრი ცნობა უკანასკნელი პოლიტიკური ახალი ამბების შესახებ. სწორედ, ამით დაიწყო ჩვენი საუბარი.

— ოპტიმიზმს გვმატებს უკანასკნელი ცნობები. საქართველო ევროპაში უშიშროებისა და განიარაღების თათბირის სრულუფლებიანი წევრი გახდა. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა გადაწყვიტა, ჩვენთან დიპლომატიური ურთიერთობა დაამყაროს. ანგარიშში მეშლება კიდეც, რამდენმა ქვეყანამ გვცნო უკვე, — იღიმება იგი და დასძენს: „აი, რას ნიშნავს ჩვენთვის ედუარდ შევარდნაძის ჩამოსვლა. — ნახავთ კიდევ რამდენი რამ გვექნება. მალე, ალბათ, მსოფლიოში აღიარებული სახელმწიფო გავხდებით".

— ნიშნავს თუ არა ეს, რომ მსოფლიოს მიერ საქართველოს ცნობის მთელ იმედებსა და მის განვითარებაში პროგრესს ედუარდ შევარდნაძის სახელს უკავშირებთ?

— უწინარეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს პრემიერ-მინისტრის პოსტზე თენგიზ სიგუას დიდი ძალისხმევა იმისთვის, რომ რესპუბლიკაში არ დამკვიდრებულიყო დიქტატორული რეჟიმი, შემდეგ მისი გადადგომა, პროტესტი ტირანიის წინააღმდეგ, მისი დიდი წვლილი დემოკრატიის გამარჯვების საქმეში. არ შეიძლება არ შევეხოთ ჯაბა იოსელიანისა და თენგიზ კიტოვანის ნამდვილად გმირულ მოქმედებას, რომლებიც სათავეში ჩაუდგნენ დიქტატორის წინააღმდეგ ბრძოლას, თორემ ყველანი ისეთ უფსკრულში აღმოვჩნდებოდით, საიდანაც თავს ვეღარ დავაღწევდით.

ედუარდ შევარდნაძისა კი თავიდანვე მჯეროდა. ხოლო, როცა ვნახე, რა გულთბილად შეხვდა მას ხალხი აეროპორტში, მივხვდი, რომ ხალხსაც თვალი აეხილა. შეხედეთ, როგორი რეიტინგი აქვს მას მსოფლიოში. ქვეყნები ჩქარობენ, გვცნონ, და ლამის ერთმანეთს ეჯიბრებიან, რათა გამოგვიცხადონ თავიანთი კეთილმოსურნეობა და დახმარების სურვილი. განა შეიძლება, არ გახარებდეს ყოველივე ეს, ტირანიისა და დიქტატორობის, იზოლაციის სასოწარკვეთის ერთი წლის შემდეგ.

— შეუძლებელია არ დაგეთანხმოთ, მართლაც ასეა, მაგრამ დიქტატურის აღდგენის მცდელობა რომ გრძელდება? როგორ ეკიდებით ინფორმაციებს, რომლებიც გროზნოდან მოდის? იქ გამართულმა საქართველოს უზენაესი საბჭოს ეგრეთ წოდებულმა სესიამ გენერალური პროკურორიც კი დანიშნა — კონსტანტინე ფირცხალავა.

— არავითარ ყურადღებას არ ვაქცევ. გახსოვთ, ალბათ, ედუარდ შევარდნაძის პასუხი საქართველოს აღორძინების ფონდის პრეზენტაციაზე, როცა ჰკითხეს, ჩეჩნეთში გამართული სესიის შესახებ. მან უპასუხა, ეს იგივეა, მე რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სხდომა გავმართოო. ასე რომ, ასეთი ახალი ამბები ვერავითარ წყენას ვერ მომგვრიან. ახლად გამომცხვარმა „პროკურორმა" ჯერ პასუხი უნდა აგოს პროკურატურის შენობაზე ყაჩაღური თავდასხმისთვის.

— სად ბრძანდებოდით ამ ყაჩაღური თავდასხმის დროს?

— აქ, ამ კაბინეტში ვიჯექი და ვმუშაობდი. ღამის პირველი საათი იყო, სინათლე ენთო და ეს კარგი სამიზნე გამოდგა მათთვის. სასწაულად გადავრჩი, ტყვიები წივილით მიდიოდნენ თავზე. ისე კი, უნდა ვთქვა, კონსტანტინე ფირცხალავა ნამდვილად გარეწარი გამოდგა. რა ჯაფა დაადგა პროკურატურას, რომ იგი გეთავისუფლებინა, როცა უზბეკეთის საქმის გამო დაპატიმრებული იყო. გავათავისუფლეთ თუ არა, მაშინვე დიქტატორს — თავისსავით დამნაშავეს ამოუდგა მხარში.

— რას იტყვით იმაზე, რომ ფირცხალავამ წერილი გამოგზავნა და მოითხოვს, რომ პროკურატურის მთელი შემადგენლობა მასთან გამოცხადდეს, თორემ ადმინისტრაციულად დაისჯებითო.

— ვფიქრობ, თავადაც გესმით, რომ ეს სასაცილოა.

— ხშირად წასწყდომიხართ თუ არა უსამართლობას და როგორ ებრძოდით მას?

— სწორედ უსამართლობამ განაპირობა კიდეც ის, რომ იურისტი გავხდი. კარგად მახსოვს, როგორ გამომიძახა პირველკლასელი დირექტორმა. მის კაბინეტში ჩემი მეცხრეკლასელი, უფროსი ძმა დამხვდა. დირექტორი ფანჯრისკენ შებრუნდა, ჩვენთვის არ შემოუხედავს და დარცხვენით გამოსცრა: — თქვენი ძია ხალხის მტერია, ამიტომ, სკოლაში ვეღარ ივლით.

ძმამ ხელი ჩამკიდა და „ხალხის მტრის" ნათესავებმა გაოცებული ბავშვების თვალწინ, სკოლის გრძელ დერეფანში ჩავიარეთ. ღამე თვალი არ მომიხუჭავს, ვფიქრობდი, მაშასადამე, არის კანონი, რომელსაც შეუძლია ასე უსამართლოდ ჩემი სკოლიდან გაძევება. რა კანონია ეს, ვინ მოიგონა-მეთქი? და ყმაწვილმა გადავწყვიტე, შემესწავლა ეს კანონი, რათა უსამართლობასთან მებრძოლა.

— თქვენ ამით ხელმძღვანელობდით ცხოვრებაში?

— დიახ, მხოლოდ ამით და მეტი არაფრით. იცით, საკმაოდ გრძელი გზა განვვლე — ტყიბულის მაღაროს კადრების განყოფილების უფროსიდან რესპუბლიკის გენერალურ პროკურორამდე. მაგრამ მთელი ცხოვრების მანძილზე ერთი მრწამსი მქონდა: არ ჩამედინა უსამართლობა, არ დამეჩაგრა უდანაშაულო ადამიანები. და როცა ჩემს წინაშე მტკიცედ დაისვა საკითხი: გადავმდგარიყავი ან დამეჭირა უდანაშაულონი, ჩვენი ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები, ჩემთვის არ დამდგარა დილემა, რა მექნა. ვიცოდი, სხვაგვარად ვერ მოვიქცეოდი, უყოყმანოდ გადავდექი.

— თქვენი ასეთი პროტესტი გასაგებია. მაგრამ, გაიხსენეთ, რამდენი მონა იყო გარშემო. ერთი მინისტრი ტრაბახობდა კიდეც — პრეზიდენტის მონა ვარო.

— არა, არა, ამას ვერ დავეთანხმები. ჩემი ქვეყნის ხალხი მონა არ არის. ერთეულები ხალხი როდია. მითხარით, სხვა რომელი ხალხი გაუძლებს ასეთ კატაკლიზმებს და გონს არ დაკარგავს? ეს ბედთან მონური შერიგება კი არა, სწორედ, საღი აზრის გამოვლენაა. ცხოვრებაში შეცდომები ვის არ მოსვლია. გადახედეთ ნებისმიერი ხალხის ისტორიას. ჩემი ხალხი გონს დროზე მოეგო. ამტანობა, მოთმინება და სიბრძნე ახასიათებს მას. დღეს მან სწორი არჩევანი მოახდინა და ეს არის მთავარი.

— თქვენ სამართლიანობაზე ლაპარაკობთ. პროკურორისგან ამას რომ ისმენ, ეს შესანიშნავია. მაგრამ რას გვეტყვით ამბებზე, რომლებიც ჩვენს გარშემო ხდება: ძარცვა, ყაჩაღური თავდასხმები, ქურდობა და მკვლელობები?

— ეს აწუხებს დღეს რესპუბლიკის სამართალდამცველ ორგანოებს. პირველი მიზეზია შფოთიანობა. ვიბრძვით, ყველგან და ყველაფერში მართლწესრიგის აღდგენისთვის. კომენდანტის საათი კანონია, კეთილ ინებეთ და დაემორჩილეთ. ზოგი ამბობს, დაე, მართონ მიტინგები, გულს მოიოხებენ, მაინც ხომ ვერაფერს შეცვლიანო. უკაცრავად, შეცვლით ვერ შეცვლიან, მაგრამ ხელს უშლიან ნორმალურ კალაპოტში ცხოვრების ჩადგომას. გაიხსენეთ ინციდენტი ჭადრაკის სასახლესთან, სადაც საქართველოს მწერალთა ყრილობა მუშაობდა. რა ქნეს, ხომ ნახეთ — „ვეფხისტყაოსანი" დახიეს, თანამედროვე მწერლების წიგნებზე რომ არაფერი ვთქვათ. რა ხდება? ყოველი საზოგადოება ჭკვიან და სულელ ადამიანებად იყოფა, ჩვენში კი ანტიზვიადისტებად და ზვიადისტებად. ეს რაღაც მარაზმია...

მეორე მიზეზი ესაა იარაღი. ძალიან ბევრი დაილექა მოსახლეობაში, ამიტომაც, ცოტა რამ თუ არ მოეწონებათ, მაშინვე იარაღზე იკრავენ ხელს. ჩვენ ფიცხი ხალხი ვართ, ჩვენგან იარაღი შორს უნდა იყოს. დაე, მას სამართალდამცველი ორგანოები და არმია ატარებდნენ. მორჩა და გათავდა! დანარჩენებმა ან უნდა ჩააბარონ იგი, ან კანონის შესაბამისად პასუხი აგონ. მხოლოდ ასე შეიძლება დამყარდეს წესრიგი.

მესამე მიზეზი: ყველამ თავისი საქმე უნდა აკეთოს. ადამიანებს დაავიწყდათ, რომ ისინი პედაგოგები, ექიმები, მშენებლები არიან. ყველამ პოლიტიკას მოჰკიდა ხელი. პოლიტიკოსები ჩვენში, ლამის, სოკოებივით იზრდებიან. მაგრამ, სავალალოდ, ამით ჩვენი ცხოვრება როდი უმჯობესდება. მაშასადამე, უნდა გამოვუშვათ პროდუქცია, მოვიყვანოთ მოსავალი, გამოვაცხოთ პური, ვაშენოთ სახლები, ვუმკურნალოთ ადამიანებს, ვასწავლოთ ბავშვებს...

— როგორ ფიქრობთ, იარაღს ნებაყოფლობით ჩააბარებენ?

— მე ასე გეტყვით. ხალხი დაქანცა ამ გაუსაძლისმა ცხოვრებამ. ყველას მშვიდობა სწყურია. როგორ შეიძინეს მათ იარაღი — ზოგს ზვიადისტთა რაზმებმა მისცეს, სხვებმა ძროხაც კი გაყიდეს, რათა თავიანთი შვილები დაეცვათ. ამიტომ, როგორც ჩანს, იარაღის ჩაბარებისას, საჭიროა მისი შეძენის ხარჯების, რაღაც კომპენსაცია. ეს აუცილებლად უნდა მოვიფიქროთ.

ბევრი დანაშაულის ფესვი ეკონომიკაშია. დიქტატორულმა რეჟიმმა იგი კატასტროფამდე მიიყვანა. თუ ადამიანთა ცხოვრებას გავაუმჯობესებთ, მაკრო-ეკონომიკური სტაბილურობა დამყარდება. ჩვენში ჩამოვლენ მსხვილი ინვესტორები და, გარწმუნებთ, მაშინვე იკლებს დამნაშავეობა. ვინც გონს არ მოეგება, იმათ კი ჩვენ მოვუვლით.

— არის თუ არა ახალი სტრუქტურები რესპუბლიკის პროკურატურაში?

— შევქმენით ორგანიზებულ დამნაშავეობასთან ბრძოლის სპეციალური სამმართველო. მისი დევიზია: სასჯელის შეუქცევადობა ნებისმიერი დანაშაულისთვის. კანონი სამართლიანობის გარანტია. ამ დღეებში ჩამოვაყალიბეთ კიდევ ერთი, ახალი სამმართველო: შეიარაღებულ ფორმირებათა კანონიერების დაცვის.

— არსებული კანონები გაკმაყოფილებთ?

— ჩვენი კანონები საერთო-საკავშირო კანონების თარგმანია. მაგრამ ახლა ვმუშაობთ სისხლის სამართლის ახალი კოდექსის, სამოქალაქო კოდექსის, სხვა კანონების შედგენაზე. ჩვენი იურისტები თავად აქტიურად მონაწილეობენ მათ შედგენაში.

— დასავლეთ საქართველოში სიტუაცია უკანასკნელი დღეების მანძილზე კალეიდოსკოპურად იცვლება. ამ მოვლენების თქვენეული შეფასება როგორია?

— ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ დემოკრატიის ძალები გაიმარჯვებენ. სხვა მხრივ არც შეიძლება. ხალხს დიდი ხნის მანძილზე ვერ მოატყუებ. იგი ბრძენია და არავის წაართმევინებს თავისუფლებას, მას სურს ცივილიზებულ მსოფლიოში ცხოვრობდეს.

გალინა ჩიქოვანი,
საქინფორმის კორ.

დადგენილების ექო

გაუგებრობა რომ ავიცილოთ

საკონსულტაციო ჯგუფი უპასუხებს მკითხველთა შეკითხვებს

● რას გულისხმობს მიწის საკუთრების ფორმის მიუხედავად მასზე ყველა სახის მეურნეობის შექმნა?

— ეს ნიშნავს, რომ კერძო საკუთრებასა და სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწებზე შესაძლებელია მოეწყოს ყველა ფორმის მეურნეობა: გლეხური, საწარმოო-კოოპერაციული, სახელმწიფო მეურნეობა, აგროკომბინატი, აგროფირმა და სხვა.

გლეხური მეურნეობის საფუძველს წარმოადგენს კერძო საკუთრებაში არსებული მიწა. გარდა ამისა, მას შეიძლება მემკვიდრეობით მფლობელობაში გადაეცეს აგრარული რეფორმის სახელმწიფო მიწა, აგრეთვე სარგებლობის უფლებით მიეცეს ე. წ. პირველადი დანიშნულების სახელმწიფო მიწები, რომელზეც იგი გააფორმებს საიჯარო ხელშეკრულებას.

საწარმოო კოოპერატივები, სახელმწიფო მეურნეობები, აგროკომბინატები, აგროფირმები და სხვა, ეწყობა სახელმწიფო საკუთრების მიწებზე. განსაკუთრებულ შემთხვევებში შესაძლებელია მათ იჯარით აიღონ კერძო საკუთრებაში არსებული მიწები.

● როგორ დადგინდება მიწის გადასახადი და როგორი იქნება მისი გადახდის წესი?

— დადგენილებით გათვალისწინებულია, რომ ყველა ფორმის მეურნეობა გათავისუფლდეს ყველა სახის გადასახადისგან და მათ ნაცვლად დაწესდეს ერთი გადასახადი — მიწის გადასახადი (იჯარით აღებულ მიწაზე — საიჯარო ქირა, რაც მიწაზე დაწესებულ გადასახადზე ნაკლები არ უნდა იყოს).

მიწის გადასახადის შეტანა მოხდება ყოველწლიურად და შეეხება ყოველგვარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულს, მიუხედავად მასზე საკუთრების ფორმებისა. გადასახადის ოდენობა იანგარიშება მიწის ფასისგან (იგი შეადგენს ფასის გარკვეულ პროცენტს), რომელიც თავის მხრივ დიფერენცირებულია სასოფლო-სამეურნეო სავარგულების სახეობათა (სახნავი, მრავალწლოვანი ნარგავები, სათიბი და საძოვარი), მიწის ნაყოფიერების, მელიორაციის დონის, ადგილმდებარეობისა და სხვა ფაქტორების მიხედვით.

მიწის გადასახადის დადგენისა და მისი გადახდის წესის შესახებ სპეციალურ დადგენილებას მიიღებს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი.

კარგ მთქმელს კარგი გამგონი უნდა

გუშინწინ „საქართველოს რესპუბლიკაში" დაიბეჭდა „დასის" თავმჯდომარის რევაზ შავიშვილის წერილი, რომელშიც ავტორის შეძლებისდაგვარად განქიქებულია თვე-ნახევრის წინათ გამოქვეყნებული ჩემი ინტერვიუ, რომელშიც გაკრიტიკებული იყო „დასის" მიერ მომზადებული და კანონის დარღვევით გამოქვეყნებული საარჩევნო კანონპროექტის ნაკლოვანებანი. სხვათა შორის, იმ ინტერვიუმ არასპეციალისტების წრეებშიც დიდი მოწონება დაიმსახურა („საქართველოს რესპუბლიკა", 1992 წლის 28 მარტი).

თუ როგორ იცავს წერილის ავტორი ეთიკურ ნორმებს, ამაში მკითხველი ჩემს დაუხმარებლადაც ადვილად დარწმუნდება. სამართლებრივ საკითხებზე ავტორისეული ნაზრევისა და მსჯელობის შეფასებაში კი ცოტას მეც წავეხმარები. ვინც ჩემი ინტერვიუ წაიკითხა ან დაინტერესდება და წაიკითხავს, ნახავს, რომ იქ გამოთქმულია გაცილებით სერიოზული შენიშვნები, რაზეც ავტორი ხმას არ იღებს. ფაქტობრივად კი სწორედ ამან გააშმაგა ასე. ინტერვიუში ნათქვამს აღარ გავიმეორებ, მოკლედ შევჩერდები მხოლოდ იმ საკითხებზე, რომელთა გამო წერილის ავტორი დავობს და რამაც, თურმე, ასე გაუადვილა ჩემი არაკომპეტენტურობის დასაბუთება.

წერილის დასაწყისში ავტორი საგანგებოდ „ბატონ შუშანაშვილისთვის" განმარტავს, რომ კანონპროექტი შემდგენელთა პოლიტიკურ შეხედულებებსაც გამოხატავს, და არავის საქმე არ არის, სად, როდის და რა ფორმით გამოქვეყნდება საყოველთაო განხილვისთვის და რომ ამ საკითხში განმსაზღვრელია „საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო სამართლებრივი ნორმები და პრინციპები". შემდეგ ავტორი დაუფარავი სიამაყით აცხადებს, „დასმა" საკანონმდებლო ინიციატივის წესით თხუთმეტამდე კანონპროექტი შეიტანა უზენაეს საბჭოში, რომელთაგან რამდენიმესთვის, თითქოს, მეც მიმეცეს ხმა.

რა წესით უნდა ქვეყნდებოდეს კანონპროექტი, „ბატონ შუშანაშვილს" ამის განმარტება არ სჭირდება, ეს საკითხი განმარტებული და გადაწყვეტილია კანონით, რომლის მომზადებაში მეც ვმონაწილეობდი. კარგი იქნებოდა, ჯერ ის ჩაეხედა წერილის ავტორს და მერე ჩამოერიგებინა სენტენციები. რა პოლიტიკური შეხედულებებიც უნდა იყოს კანონპროექტში ჩაქსოვილი, მისი გამოქვეყნების უფლება აქვს მხოლოდ ხელისუფლების უმაღლეს ორგანოს. სამართალშემოქმედება საქველმოქმედო საქმიანობა არ არის და მასში მონაწილეობის უფლება არ შეიძლება ყველა მოყვარულსა და მოხალისეს ჰქონდეს. საერთაშორისო სამართლის ნორმები და პრინციპებიც აქ არაფერ შუაშია. აღნიშნული საკითხები წესრიგდება მხოლოდ შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით.

რაც შეეხება „დასის" საკანონმდებლო ინიციატივას, კონსტიტუციით ამის უფლება მას არ ჰქონდა, რადგან იურიდიულ პირად არ იყო რეგისტრირებული და თუ უზენაესი საბჭო მართლაც იხილავდა არაკომპეტენტური ორგანოების შემოთავაზებულ კანონპროექტებს, ძალიან ცუდად მოქცეულა.

როგორც ავტორი ამტკიცებს, საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციით ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს სწორედ პარლამენტი ჰქვია და არა უზენაესი საბჭო, რაც თურმე, მე ვერ გამიგია და უსაფუძვლოდ ვდავობ. საარჩევნო კანონპროექტში საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს სახელწოდება რატომ შეუცვალეთ-მეთქი. კი, მაგრამ რომელ კონსტიტუციაზეა ლაპარაკი? რომელი კონსტიტუციის მოქმედება შეაჩერა სამხედრო საბჭომ და რა ერქვა იმ კონსტიტუციით სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოს? აშკარაა, რომ წერილის ავტორი გულისხმობს საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციას და არაფერს ამბობს იმაზე, რომ ეს კონსტიტუცია არჩევნების დებულების პროექტისა და ჩემი ინტერვიუს გამოქვეყნების შემდეგ აღადგინეს. სხვათა შორის, 1921 წლის კონსტიტუციას საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუცია კი არ ჰქვია, არამედ საქართველოს კონსტიტუცია, ხოლო ამ კონსტიტუციით საქართველოს პარლამენტი განმარტებულია არა როგორც ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო, არამედ როგორც წარმომადგენლობითი ორგანო.

რაკი საარჩევნო კანონპროექტის ერთ-ერთ მუხლში განსაზღვრული იყო იმ პირთა წრე, რომელთა თანამდებობა შეუთავსებელია პარლამენტის წევრობასთან, ინტერვიუში ზედმეტად მივიჩნიე პარლამენტში დეპუტატობის კანდიდატისთვის კიდევ რამე შეზღუდვების დაწესება და ისიც აღვნიშნე, არჩევით თანამდებობებზე სამართლებრივი სტატუსის მქონე კანდიდატები რომ არ არსებობენ. წერილის ავტორი ცდილობს ამიხსნას ასეთი შეზღუდვის აუცილებლობა და მაგალითებად ასახელებს იუსტიციის მინისტრსა და თიანეთის საკრებულოს (იგი ჩემს ყოფილ თანამდებობასა და მშობლიურ კუთხეზე მიმანიშნებს, რომ უფრო მივუხვდე ნათქვამს). არარსებული კანდიდატების შესახებ კი ამბობს, რომ „მზადდება და მალე გამოქვეყნდება დადგენილება და დებულება სოფლებისა და ქალაქების თავკაცთა არჩევნების შესახებ, ანუ ის, რაც არ არსებობს, სულ მალე იარსებებს". წარმოიდგინეთ, ამ საგანგებო განმარტებისა და უკბილო ოხუნჯობის მიუხედავად, მე მაინც არ მესმის, პარლამენტში დეპუტატობის კანდიდატი რატომ არ შეიძლება იმავდროულად იყოს კანდიდატი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლობით ორგანოში და არჩევნებამდე გადაწყვიტოს, სად იყაროს კენჭი. საერთოდ, რატომ არ შეიძლება პარლამენტის წევრი საკრებულოს წევრიც იყოს? სხვათა შორის, საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ადგილობრივი თვითმმართველობის წევრი დამფუძნებელი კრების წევრიც შეიძლებოდა ყოფილიყო. რაც შეეხება სოფლებისა და ქალაქების თავკაცთა არჩევნების დებულებისა თუ დადგენილების მზადებას, წერილის ავტორი ოდნავ მაინც რომ იყოს გარკვეული სამართლის საკითხებში, ეცოდინებოდა, რომ გამოქვეყნებული კანონპროექტი უნდა შეესაბამებოდეს მოქმედ კანონმდებლობას, ესე იგი იმას, რაც არის, და არა იმას, რაც მზადდება, რაც ჯერ არ არსებობს და ღმერთმა იცის, როდის იარსებებს ან საერთოდ იარსებებს თუ არა.

სამწუხაროა, რომ წერილის ავტორი ვერ ამჩნევს, რა წინააღმდეგობაა პროექტის მე-20 და 30-ე მუხლებს შორის, რომ საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში დანიშნული პირი ამ კომისიის წევრია, და არა ვინმეს წარმომადგენელი, რომ საარჩევნო კომისია შედგება მხოლოდ კომისიის თავმჯდომარის, მისი მოადგილის, მდივნისა და წევრებისაგან და მის შემადგენლობაში არ შეიძლება იყოს ვიღაცის წარმომადგენელი, რომელიც კომისიის წევრისგან განსხვავებული უფლებამოსილებით იქნება აღჭურვილი. არჩევნების მონაწილე პარტიასა თუ დეპუტატობის კანდიდატს წარმომადგენელი შეიძლება ჰყავდეს საარჩევნო უბანში ან ოლქში, და არა საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში.

კონკრეტული საკითხების განხილვის შემდეგ წერილის ავტორი ზოგად პრობლემებსაც ეხება, სინანულს გამოთქვამს იმის გამო, რომ იუსტიციის სამინისტროს, რომელსაც წლების მანძილზე ვხელმძღვანელობდი, სხვისი კანონების გადაწერისა და საკუთრად გასაღების მეტი თითქმის არაფერი გაუკეთებია, ხოლო მე ვერ გამიგია, და ახლო მომავალშიც საეჭვოა გავიგო, როგორ უნდა იქცეოდეს „ქვეყნისათვის სასიკეთო საქმის გამკეთებელი კაცი". მას რომ ჩვენი კოდექსების, კანონთა წიგნებისა და კრებულების სატიტულო ფურცლები მაინც ჰქონდეს ნანახი, ალბათ, ასეთ შეურაცხმყოფელ დასკვნას არ გააკეთებდა და იმასაც მიხვდებოდა, რომ გულხელდაკრეფილი არც მე ვმჯდარვარ.

წერილის ავტორს მოაქვს ვრცელი ამონაწერი ორი წლის წინანდელი პუბლიკაციიდან იმ მიზეზის ასახსნელად, თუ რატომ ვებრძვი „დასის" საკანონმდებლო საქმიანობას. ამ პუბლიკაციაში ნათქვამია, თითქოს უზენაესი საბჭოს არჩევნების წინა პერიოდში მე ვიყავი ექსპერტი და საარჩევნო კანონპროექტების განხილვისას ერთ-ერთ თათბირზე ამერია რაღაც „სამიზნეები" და მხარი დავუჭირე „დასის" მიერ წარმოდგენილ პროექტს, ხოლო შემდეგ მივხვდი, რა ხდებოდა და გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში გავაკრიტიკე ეს პროექტი.

სამწუხაროა, თუ ავტორი დღემდე მართლა ვერ მიმხვდარა, უზენაესი საბჭოს წინასაარჩევნო პერიოდში ვის აერია „სამიზნე" და ამან რა უბედურება დაატეხა საქართველოს. სხვათა შორის, დამოწმებულ პუბლიკაციაში წერილის ავტორი და მისი თანაგუნდელები ირწმუნებოდნენ, ჩვენს მიერ შემუშავებულმა არჩევნების შერეულმა სისტემამ თუ ვერ გაიმარჯვა, საქართველოს სიმშვიდე და თავისუფლება არ ეღირსებაო. დღეს კი, როცა ნახეს, რა დღე დაგვითენა მათმა ნალოლიავებმა სისტემამ, ირწმუნებიან, ჩვენ იმ სისტემის მომხრენი არ ვიყავით და, საერთოდ, როგორ შეიძლება საქართველოში პარტიული სიებით არჩევნების მოწყობა, ვიდრე პარტიული ცხოვრება არ მოწესრიგებულაო („თბილისი", 1992 წლის 20 იანვარი). რა ქენით ახლა, რომელი სიტყვა ვირწმუნოთ, მაშინდელი თუ დღევანდელი?

რაც შეეხება იმას, თითქოს მე „სამიზნეები" ამრეოდეს, მტკნარი სიცრუეა, მაგრამ თავის დროზე ავტორთან გაპაექრების აზრი ვერ დავინახე. სინამდვილეში კი, აი, როგორ იყო საქმე. არავითარი ექსპერტი მე არა ვყოფილვარ, შემთხვევით შევესწარი იმ თათბირს, სადაც „მრგვალი მაგიდის" წევრები აიძულებდნენ ხელისუფლებას, თუ ჩვენს პროექტს არ გამოაქვეყნებთ, ზესტაფონში ხომ გადაკეტილი გვაქვს რკინიგზა, მთელ საქართველოს ჩავკეტავთო. თანაც ცდილობდნენ დაემტკიცებინათ არჩევნების პროპორციული სისტემის უპირატესობა მაგრამ ვერ ახსნეს ამ სისტემის საარჩევნო კვოტის გამოანგარიშების მექანიზმი. [illegible] საკითხი განვმარტე [illegible] სი, [illegible] შემდეგაც ვერაფე[illegible] გაიგეს, მაგრამ დიდად კი გაიხარეს, ეს რა კარგი რამ წარმოგვიდგენიაო. ეს იყო და ეს. ერთი კვირის შემდეგ დაიბეჭდა ჩემი ინტერვიუ, სადაც აღვნიშნე, რომ მუქარით, ძალმომრეობითა და რკინიგზების გადაკეტვით არ შეიძლება კანონების მიღება და ასეთი მეთოდებით მიღებული კანონი უცვლელად და უსისხლოდ ალთქმულ მიზანთან ვერ მოგვიყვანს მეთქი. ნეტა ეს ჩემი ეჭვი არ გამართლებულიყო და ავტორის ცინიკურ გამოხტომას კი არა, რას არ ავიტანდი.

და ბოლოს, როგორ უნდა იქცეოდეს ქვეყნისთვის სასიკეთო საქმის მკეთებელი კაცი, მე არც ამის შეგონება მჭირდება და არც იმის სწავლება, თუ რა ზიანი მოაქვს ქვეყნისთვის დილეტანტობასა და უმეცრებას, ერისკაცის ნიღაბს ამოფარებულ ფარისეველთა ჩალიჩს და ფართიფურთს. ქვეყნისთვის სასიკეთო საქმის მკეთებელი კაცი თავის ქერქში უნდა ეტეოდეს და თავის საქმეს აკეთებდეს, „რაცა ვის რა ბედმან მისცეს, დასჯერდეს და მას უხმობდეს", — ჯერ კიდევ როდის გვმოძღვრავდა შოთა რუსთაველი.

ბალახულ ფალავანს ჭიდაობა არასოდეს მობეზრდება. ალბათ, წერილის ავტორი კვლავ შეეცდება გამომეპასუხოს და ხელიდან არ გაუშვას საარჩევნო კანონის მომზადების სადავეები. სამართლებრივ პრობლემებზე მასთან კამათს აღარ გავაგრძელებ, რათა თუთაშხიასი არ იყოს, „უსინდისობა იქნება ეს ჩემის მხრივ", ხოლო საარჩევნო კანონპროექტი თუ კვლავ კანონის დარღვევით გამოქვეყნდება და არ იქნება ნამდვილად დემოკრატიული, აბა, რა გამაჩერებს, ამ კანონზე ხომ ჩვენი ქვეყნის საარსებო ინტერესებია დამოკიდებული.

ალექსანდრე შუშანაშვილი.

თენგიზ ბუაჩიძე

სულიერება, სულიერება, სულიერება

მაშ ვიცადოთ, სანამ ხელსაყრელი პირობები დადგება და მხოლოდ შემდეგ, მხოლოდ შემდეგ ვიღვაწოთ სულიერების სფეროში, მანამდე კი შევაჩეროთ ყოველგვარი მოქმედება და შემოქმედება?

ზნეობრიობა სულიერების საფუძველია, ჩვენ თვალწინ კი თვით ზნეობრიობას ეცლება საფუძველი.

სანამდე მივალთ ამ უგზო გზით, ამ უმიზნო მიზნით და უკვალო კვალით, ძნელი წარმოსადგენია. ერთი მოსალოდნელი ვარიანტი ის არის, რომ ჩვენ დავრჩებით საქართველოს მხოლოდ გონებაარეულ მოსახლეობად და არა რაღაც მაღალი მიზნით გაერთიანებულ ერად.

უმეტესობის უზნეობა ერის ხულიერი სიკვდილია.

ხოლო ცალკეულთა, უმცირესთა, პროცენტულად უმნიშვნელოთა უზნეობა ყოველთვის იყო და იქნება საზოგადოებაში.

დღეს რა მდგომარეობაა?

თვით განსაჯეთ:

ლტოლვილი ექს-პრეზიდენტისა და მისი ამალის დაპირისპირება საქართველოსთან და მის დღევანდელ ხელმძღვანელობასთან;

საზოგადოების სხვადასხვა ფენათა დაპირისპირება;

რაიონთა დაპირისპირება;

რეგიონთა დაპირისპირება;

ერთი ოჯახის წევრთა ერთმანეთთან დაპირისპირება;

„ინტელიგენციისა" და ინტელიგენციის დაპირისპირება;

სამარცხვინო აუტოდაფე მწერალთა ყრილობის მსვლელობისას;

დაპირისპირება თვით მწერალთა შორის;

თავისთავად დაპირისპირებულ ბნელსა და ნათელს შორის გამძვინვარებული დაპირისპირება...

და სისხლი, სისხლი, სისხლი, ყოველდღიურად დაღვრილი ქართველთა სისხლი...

სანამ არ გავერთიანდებით მთავარში, ჩვენი საშველი არ იქნება.

სანამ არ ავმაღლდებით წვრილმანზე და პიროვნულზე, ერის საშველი არ იქნება.

სანამ არ აილაგმება სისხლის სამართლის დამნაშავეთა პოტენციურად მზარდი ხროვა, არაფერი გვეშველება.

სანამ არ შევთანხმდებით და არ შევრიგდებით, შინაშლილობას საქართველოში, მტერთა გულის გასახარად და ჩვენ დასაღუპად, ბოლო არ მოეღება.

ნუთუ არ არსებობს ჩვენში უბედურობის ზღვარი და საზღვარი?

3 აპრილი 1992 წელი.

GURIT

ვისაც წარმოებასთან აქვს საქმე!

თქვენ გჭირდებათ სამუშაოსათვის საჭირო დეტალების და კვანძების დამზადება, მაგრამ ამისათვის არც პირობა, არც მასალა გაგაჩნიათ.

ე/ს „გურიტი" იტვირთავს ამ პრობლემას.

დათქმულ ვადებში თქვენთვის საჭირო დეტალებს სწრაფად და ხარისხიანად დაამზადებენ „სნგ"-ს ქარხნებში და, რაც მთავარია, დამამზადებლის მასალით.

ჩვენ მზად ვართ დახმარება გაგიწიოთ!

საკონტაქტო ტელეფონები
72-11-09, 72-26-1

ე/ს „გურიტი"
სარეკლამო სააგენტო „მიმინო"

ამ ტრიალ ქვეყანაზე

● ჩეჩნეთი

კვლავ დაძაბულობა

გროზნო. კვლავ დაძაბული ვითარებაა ჩეჩნეთში. გროზნოდან — რესპუბლიკის დედაქალაქიდან გაძევებული ოპოზიციონერები დაბრუნდნენ მდინარე თერგის ნაპირას და ჩაამწკრივეს კარგად შეიარაღებული კორდონები. ჩეჩნეთის პრეზიდენტის ჯოხარ დუდაევის ერთგულ ეროვნულ გვარდიელებს, მათი წარმომადგენლის თქმით, შეეძლოთ გაენადგურებინათ ეს კორდონები, მაგრამ რესპუბლიკის ხელმძღვანელობა ახალი სისხლისღვრის შიშით კრძალავს შტურმს.

გროზნოს ცენტრში გრძელდება პრეზიდენტის მომხრეთა მრავალათასიანი მიტინგი. გამოსულები მოითხოვენ, რომ მკაცრად დაისაჯონ ისინი, ვინც 31 მარტს გადატრიალების მოწყობა სცადა, ამასთან აღნიშნავენ, რომ ოპოზიციონერთა შორის მრავალი მოტყუებული ადამიანი იყო, რომელთა მიმართ საჭიროა გამოიჩინონ შემწყნარებლობა.

განვლილი შეტაკების მსხვერპლთა რიცხვი კვლავ უცნობია. ოპოზიცია მალავს თავის დანაკარგებს. პარლამენტის პრესცენტრის თანამშრომელმა ლემა ჩაბანოვმა განაცხადა, რომ ჯოხარ დუდაევის დანაკარგებმა შეადგინა სულ ცოტა შვიდი კაცი, მაგრამ ეს ციფრი, ეტყობა, საბოლოო არ არის. ახლახან შექმნილი ჩეჩნეთის საგამოძიებო კომიტეტის თავმჯდომარემ მანსურ ტაგდიროვმა აღძრა სისხლის სამართლის საქმე ძალაუფლების ხელში ჩაგდების მიზნით შეთქმულების ნიშნების გამო.

● ისრაელი

„ინტერლოკენ-6" კიბოს წინააღმდეგ

თელ-ავივი. ვაიცმანის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ისრაელ მედიკოს მეცნიერთა ჯგუფმა შექმნა კიბოვან დაავადებათა სამკურნალო პრეპარატი „ინტერლოკენ-6". ჯგუფის ხელმძღვანელმა, მოლეკულურ-ვირუსული გენეტიკის განყოფილების გამგემ პროფესორმა მიშელ რეველმა გაზეთ „ედიოტ ახრონოტისათვის" მიცემულ ინტერვიუში აღნიშნა, რომ პრეპარატი აფერხებს ავთვისებიან სიმსივნეთა უჯრედების გამრავლებას და ხელს უწყობს ქიმიური პრეპარატებითა და დასხივებით მკურნალობის შედეგად გამოწვეულ თანამდევი დაავადებების მიმართ იმუნიტეტის გაძლიერებას.

როგორც პროფესორი ამბობს, „ინტერლოკენ-6"-ის გამოყენება შეცვლის თანამედროვე ონკოლოგიაში გავრცელებულ ქიმიურ და რენტგენოთერაპიას, რომელიც თანმდევ უარყოფით ეფექტს იწვევს. ისრაელ მეცნიერთ მიაჩნიათ, რომ ახალი წამალი განსაკუთრებით ეფექტიანი იქნება ძირითადი სიმსივნის ქირურგიული ამოკვეთის შემდეგ გამოყენების შემთხვევაში.

ამჟამად პრეპარატი კლინიკურ გამოცდას გადის ისრაელში, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და შვეიცარიაში. მისი დამთავრების შემდეგ 1993 წელს „ინტერლოკენ-6" რეკომენდებული იქნება სამრეწველო წარმოებისთვის და ონკოლოგიურ დაავადებათა სამკურნალოდ საყოველთაო გამოყენებისთვის, დასძინა პროფესორმა მ. რეველმა.

● ლიტვა

მთავრობის წევრები — უხელფასოდ?

ვილნიუსი. ლიტვაში, ისევე როგორც ბალტიისპირეთის სხვა სახელმწიფოებში, არ ჰყოფნით ნაღდი ფული ხელფასის, პენსიებისა და სხვა მისაცემლებისათვის. ამიტომ პრემიერ-მინისტრმა გედიმინას ვაგნორიუსმა გამოსცა სპეციალური განკარგულება.

დოკუმენტში აღნიშნულია, რომ სანამ არ იქნება ლიკვიდირებული დავალიანება და სარგოებს, პენსიებს, დახმარებას არ მიიღებენ ყველა საწარმოს მუშაკები, ხელფასს ვერ მიიღებენ ლიტვის რესპუბლიკის მთავრობის წევრები, სამინისტროების, დეპარტამენტების, ლიტვის ბანკისა და მისი განყოფილებების, უზენაესი საბჭოს აპარატის, სხვა სახელმწიფო სამსახურების თანამშრომლები. აღნიშნულ დაწესებულებათა მუშაკებს ფული მიეცემათ ლიტვის მთავრობის ცალკე განკარგულებით.

● საფრანგეთი

გამოცხადდა ახალი მთავრობა

პარიზი. საფრანგეთის ახალი მთავრობის შემადგენლობა, რომელსაც მეთაურობს პიერ ბერეგოვუა, ხუთშაბათს გვიან საღამოს გამოცხადდა.

როგორც საფრანგეთის პრეზიდენტის კანცელარიის გენერალური მდივანი იუბერ ვედრინი იტყობინება, სახელმწიფო მინისტრის, საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი კვლავ როლან დიუმას უკავია. სახელმწიფო მინისტრის, განათლებისა და კულტურის მინისტრის თანამდებობაზე დაინიშნა ჟაკ ლანგი, რომელიც ედიტ კრესონის მთავრობაში კულტურისა და კომუნიკაციის მინისტრისა და მთავრობის ოფიციალური წარმომადგენლის მოვალეობებს ასრულებდა. ახალი მთავრობის შემადგენლობაში თავდაცვის მინისტრი გახდა პიერ ჟოქსი, რომელსაც ეს თანამდებობა ადრეც ეკავა. მთლიანად ახალი მთავრობის შემადგენლობას მნიშვნელოვანი ცვლილებანი არ განუცდია.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

წერილი იუბილარს



ბატონო ალექსანდრე!

გულითადად გილოცავთ დაბადების სახელოვან 90 წელს. თქვენ დიდი წვლილი შეიტანეთ ქართული ფილოლოგიის ფუნდამენტური პრობლემების დამუშავების საქმეში. განსაკუთრებული მნიშვნელობისაა თქვენი რუსთველოლოგიური გამოკვლევები. თქვენი მონოგრაფია, არაერთგზის გამოცემული, როგორც იტყვიან ქართველოლოგთა სამაგიდო წიგნია. თქვენ ბრძანდებით სტუდენტთა არაერთი თაობის საყვარელი და აღიარებული ლექტორი. თქვენი აღზრდილები დღეს წარმართავენ ფილოლოგიურ დარგს საქართველოში. თქვენ ბრძანდებით თავის საქმეში შეყვარებული ადამიანის, პროფესიონალის განსახიერება. არაერთგზის მომისმენია თქვენი საჯარო ლექციები თუ მოხსენებები „ვეფხისტყაოსნის" საკითხებზე. თქვენ არასდროს გილაპარაკიათ მშრალად და უგულოდ. როგორც კი „ვეფხისტყაოსნის" გმირთა სამყაროს შეეხებით, თქვენი ემოციურობა ყველა ქართველის გულს ხვდება. თუ ოდესმე დაგვჭირდება რუსთაველის აფორიზმების დამმუხტველი, გამამხნევებელი ძალა, სწორედ ახლა სჭირდება იგი ჩვენს ხალხს. ახლა გვჭირდება საქართველოს ყველა კუთხის ისეთი ერთიანობა, როგორც ეს „ვეფხისტყაოსანში" გვაქვს. გვწყურია ის მეგობრობა, ძმობა და კეთილშობილება, რასაც გენიალური პოემა გვინერგავდა. ჩვენი ყოველი ცოდნა სიკეთის შესახებ ფუჭია, თუ სიკეთე არ ვაკეთეთ: „არა ვიქმ, ცოდნა რას მარგებს ფილოსოფოსთა ბრძნობისა".

ბატონო ალექსანდრე, თქვენი ხანგრძლივი სიცოცხლე მეტისმეტად რთული და ცვალებადი ცხოვრების ქვეყანაში, არის კეთილშობილი და პატიოსანი კაცის ცხოვრება. სიყვარულზე უკეთესი ელექსირი არ არსებობს. თქვენ ბევრი სიკეთის მოტანა შეგიძლიათ თქვენი ხალხისათვის. სულითა და გულით დაგლოცავთ პირადად თქვენ, თქვენთან ერთად იმ ფილოლოგიურ სამყაროს, რომლის შვილიც და მოძღვარიც თქვენ ბრძანდებით, სიცოცხლის ბიბლიურ ხანგრძლივობას გისურვებთ.

ღრმა პატივისცემით — **ედუარდ შევარდნაძე.**

მოძღვარი

მოგვათარებდა ბატონი ალექსანდრე რუსთველის პოემის უკიდეგანო სამყაროს, გვებაასებოდა დინჯად (გურულ სიმკვირცხლეს ნაკლებად შევამჩნევდით) და, რომ იცოდეთ, რა უცებ შემოგვადნებოდა ხელში სალექციო დრო... ის კი — დარბაისლურად მჟღერმეტყველი — დაუზარებლად უპასუხებდა ჩვენს კითხვებს, არ ეჩქარებოდა, „ვეფხისტყაოსნის" სტრიქონები გულისგულიდან ამოჰქონდა, გვასწავლიდა, გვმოძღვრავდა...

მას შემდეგ, ბარე ოცდაათი წელი გავიდა... ნეტა იმ დროს...

სადღაა ის ჯანი, თუმცა, 90 წლის პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ალექსანდრე ბარამიძე, მაინც მხნედ ჩამოუყვება ხოლმე მცხეთის ქუჩიდან თავდაღმართს, მშობლიური უნივერსიტეტიც აგერ, ხელისგაწვდენაზეა... და ისევ ლექციები... ისევ ახალგაზრდობასთან ურთიერთობა...

— ვერ ველევი, უზომოდ მიყვარს ჩვენი სტუდენტობა, მართალია, ცოტა თვალსაც დამაკლდა და ყურსაც, მაგრამ საუბარი და წერა ჯერჯერობით შემიძლია და.. თანაც სიცოცხლის იმპულსს მმატებს, მობილიზებულს მხდის იმის ფიქრი, რომ უნივერსიტეტში ვარ წასასვლელი... რა საქმეა: ოციანი წლებიდან აქ დავდივარ...

• • •

ღვაწლმოსილ მეცნიერს შინ ვეწვიე და ახლა მის კაბინეტში ვსაუბრობთ... ირგვლივ წიგნები... წიგნები.. კედლებზე რამდენიმე ფოტოსურათი უახლოესი ადამიანებისა... აი, ივანე ჯავახიშვილი და კორნელი კეკელიძე... 1925 წელს, უნივერსიტეტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ, ალექსანდრე ბარამიძე ძველ ქართულ საერო მწერლობაში სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის თავის კათედრაზე დატოვა კორნელი კეკელიძემ.

დღეს უკვე საყოველთაოდ არის ცნობილი ალექსანდრე ბარამიძის დამსახურება მრავალსაუკუნოვანი ქართული მწერლობის კვლევის საქმეში. განსაკუთრებით გამორჩეულთა მონოგრაფიები: „ქილილა და დამანას" ქართული ვერსიები", 1932 წელს რომ დაიბეჭდა, რომლისთვისაც 30 წლის ახალგაზრდა მეცნიერს დოქტორის ხარისხი მიენიჭა, და „შოთა რუსთაველი და მისი პოემა".

ალექსანდრე ბარამიძემ მრავალ მკვლევარს დაულოცა გზა მეცნიერებისაკენ. დღეს ძნელად მოიძებნება ჰუმანიტარული რანგის სხვა მეორე სპეციალისტი, რომელიც ამდენი შეგირდით ამაყობდეს, თანაც რა შეგირდებით — აკადემიკოსებით, პროფესორებით...

— ის კი არა, თქვენ პატივი გქონდათ, ბატონო ალექსანდრე, თვით საქართველოს პრეზიდენტის დოქტორად წარდგინებისათვისაც მოგეწერათ ხელი, არა?...

— კი ბატონო. მე, სარგის ცაიშვილი და რეზო სირაძე ვაწერდით ხელს. გვინდოდა დაცვას უხმაუროდ ჩაევლო, ინსტიტუტის დარბაზში გაგვემართა სხდომა, მაგრამ, ჩვენდა გასაკვირად, წინა დღეს ყოველივე შეიცვალა და დაცვა აკადემიაში გადაიტანეს — გაჭედილი იყო დარბაზი თაყვანისმცემლებით, დეპუტატებით... ტელევიზიაც იღებდა, რაც, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა... ერთი სიტყვით, პომპეზური სახე მიიღო ყოველივემ, თორემ, სხვა მხრივ, მე დაცვაზეც განვაცხადე და ახლაც შემიძლია გავიმეორო, რომ „ვეფხისტყაოსნის" სახისმეტყველებაში" მის ავტორს ნამდვილად ეკუთვნოდა დოქტორის ხარისხი. სიმართლეს ვერ გავექცევით... მაგრამ სიმართლეა ისიც, თუ რა დღეში ჩააგდო საქართველო გამსახურდიამ, როგორც პოლიტიკურმა მოღვაწემ...

— მაშინ, იქნებ ჩვენი ქვეყნის დღევანდელ მდგომარეობაზეც გვითხრათ თქვენი აზრი, ბატონო ალექსანდრე... იქნებ პარალელიც გაგვევლოთ 1918-21 წლების დამოუკიდებელ საქართველოსა და დღევანდელს შორის...

— აბა, რა გითხრათ... უბედურება გვჭირს... აი, გუშინ გადმოსცა ტელევიზიამ, როგორ დახოცეს ქართველმა ბიჭებმა ერთმანეთი მალთაყვასთან, იქვე, ჩემს სოფელთან ახლოს... გახლეჩილია ერი, დანაწევრებულია... პარტიებს შორის შეხლა-შემოხლა როგორ არ იყო, მაშინაც იყო, მაგრამ ეს ცხარე კამათი იქით არასოდეს წასულა, დღეს რომ მძულვარებაში ეჯიბრებიან ერთმანეთს, ასე არ ყოფილა.. ამ ხნის მოვიყარე და ასეთი უზნეობა, ამჟამად რომ სუფევს ჩვენს გარშემო, მე არც მომისმენია და არც შემხვედრია...

— რას ფიქრობთ, რისი ბრალი უნდა იყოს?..

— გაზარმაცდა, შრომას გადაეჩვია ხალხი... ხომ ხედავთ, რას მოვესწარით, გლეხს მიწას აძლევენ და უარზეა. ეს იმიტომ, რომ კოლექტივში იოლად გადიოდა, საკუთარს კი მეტი ოფლის ღვრა უნდა... სკოლებში, როგორც მოხსიათებენ, ისე ასწავლიან ყმაწვილებს... უმაღლესი სასწავლებლები გაივსო ისეთი ახალგაზრდებით, რომელთაგან ბევრს ცოდნის მიღება სულაც არ აინტერესებს... მათაც ვერ გამტყუნებ, გულგრილობის ატმოსფეროში ატარებენ დროს, აღარ ენდობიან პედაგოგებს, განათლების სიღრმეს, ზნეობას უწუნებენ... და, ხშირ შემთხვევაში, მართლებიც არიან... თავად თქვენა ხართ მოწმე: თუ გაუბედავს ვინმეს, რომ ჩემს გამოცდაზე უცოდინარი მოსულიყო?..

— რას ბრძანებთ!.. რა დამავიწყებს, ერთხელ მეც ძალიან მაწვალეთ...

— რატომ, რაში იყო საქმე?

— საკითხი არ ვიცოდი...

— ჰოდა, კარგი მიქნია... ხომ ისწავლე ბოლოს...

— რა თქმა უნდა... ბატონო ალექსანდრე, ერთი ეს მიბრძანეთ: ამ ფოტოზე, აკაკი წერეთელთან ერთად, ბავშვები ვინ არიან?

— ჰოო... ესენი ჩემი მომავალი მეუღლე — ცხონებული — და მისი ძმა არიან... საქმე ის არის, რომ აკაკი წერეთელს დიდი მეგობრობა ჰქონდა ჩემ სიმამრთან — ცნობილ ექიმთან და საბავშვო მწერალთან ივანე ელიაშვილთან. სიმამრი ბაქოში იყო კარგა ხანს და აკაკი, თურმე, იქაც კი აკითხავდა, ხოლო თბილისში რომ გადმოვიდა, ხშირად დადიოდა მასთან... ივანე ელიაშვილი მატერიალურად ეხმარებოდა მუდამ უფულო პოეტს... ეს სურათიც იმ პერიოდშია გადაღებული... ამ ოჯახისადმი აკაკის ბევრი წერილია ჩემ არქივში... საერთოდ მდიდარი არქივი მაქვს... აი, ამ სურათზე კი მამაჩემი და ბიძაჩემებია... ანაფორიანი — მამაჩემია... იგი სოფლის მღვდელი და მასწავლებელი იყო სოფელ ჯუნჯუათში, ლანჩხუთთან ახლოს... აი, ასე იყო ცხოვრება...

• • •

ბატონი ალექსანდრე სტოკჰოლმში ქართულ ენაზე გამოცემულ „ახალ აღთქმასა და ფსალმუნებს" მიჩვენებს. — ჩემმა მოსწავლეებმა მომართვეს გუშინ, ძალიან გამახარეს...

მოსწავლეებს წარწერა გაუკეთებიათ წიგნზე, ოთხმოცდაშვათე გაზაფხულს ულოცავენ მოძღვარს პროფესორები ლ. მენაბდე, გ. ფარულავა, ს. ცაიშვილი, რ. ბარამიძე, რ. სირაძე, ე. ხინთიბიძე და სხვები.

მე რითიღა გაგახაროთ ჩემო მასწავლებელო? ეს ერთი-ორი თბილი სიტყვა, თუ სიამოვნებას მოგგვრით, ალალი იყოს!..

ვილენ მარდალეიშვილი.

**სიმონ კილაძის ფოტო.
(ფოტოსააგენტო „დრო").**

აფხაზეთის უზენაესი საბჭოს სესია

3 აპრილს გაიმართა აფხაზეთის უზენაესი საბჭოს სესია. დაძაბულობა, რომელიც ამჟამად ამ არჩევით ორგანოშია, აისახა მისი მორიგი სხდომის მუშაობაშიც.

მიუხედავად იმისა, რომ შემთანხმებელმა კომისიამ წინასწარი ხერიოზული მუშაობა გასწია ... მხარეების გზით კონფრონტაციის შესანელებლად, მდგომარეობა მაინც არ გამოსწორებულა.

განიხილეს აქციების შესახებ აფხაზეთის რესპუბლიკის კანონის დანართები და სამხედრო აღრიცხვის კანონის დარღვევისთვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის საკითხი.

სესიაზე იმსჯელეს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების მეთაურების დანიშვნის საკითხზე. ასეთი მეთაურები დაინიშნენ ქ. ტყვარჩელში და გალისა და სოხუმის რაიონებში.

დეპუტატების ბევრ გამოსვლაში ჟღერდა აზრი, რომ საჭიროა გაიმართოს დიალოგი საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებასთან ორივე მხარის ინტერესებისა და ღირსების გათვალისწინებით.

ამ დისკუსიას დასაწყისი მისცა აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ვლადისლავ არძინბამ, რომელმაც დამსწრეთ გააცნო საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებელთან თენგიზ სიგუასთან ტელეფონით საუბრის შინაარსი, ამასთანავე მან უმისამართოდ დააბრალა დეპუტატებს საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების წინასწარგანზრახული დეზინფორმირება.

როცა კამათის დროს ვლადისლავ არძინბამ არაკორექტულად მიმართა ქართველ დეპუტატებს, სიტყვით გამოვიდა აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე თამაზ ნადარეიშვილი. მან განცხადება გააკეთა და დეპუტატთა ჯგუფთან ერთად დატოვა სესიის დარბაზი.

სესია დღეს განაგრძობს მუშაობას.

იოსებ გოგიჩაია,
„საქართველოს რესპუბლიკის" საკ. კორ.

ბატონ ედუარდ შევარდნაძის ინიციატივით შეიქმნა საქართველოს დემოკრატიისა და აღორძინების ფონდი, რომლის წესდება გამოქვეყნდა მიმდინარე წლის 10 მარტს გაზეთ „სვობოდნაია გრუზიაში" და 11 მარტს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში".

ფონდი მიზნად ისახავს რესპუბლიკაში შექმნილ მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის სტაბილიზაციას. იგი ქველმოქმედების მიზნით არის შექმნილი ყველა სფეროს გათვალისწინებით.

ფონდის შემოსავლების ძირითად წყაროს შეადგენს მოქალაქეების, კოლექტივების, საწარმოების, ორგანიზაციების, დაწესებულებების, ასოციაციების, ფირმების, კომპანიების ნებაყოფლობით საწევრო შენატანი.

თავის მხრივ ფონდი გაუწევს სათანადო მხარდაჭერას სოციალური მნიშვნელობის ინიციატივების, საავტორო პროექტებისა და პროგრამების განხორციელებას, აგრეთვე მიიღებენ დახმარებას თანამშრომლობასა და ცალკეულ, მათ შორის საზღვარგარეთის ორგანიზაციებს შორის კონტაქტების დამყარებაში, რომლებიც შეესაბამება ფონდის მიზნებს.

ვფიქრობთ ამ მამულიშვილური საქმის წამოწყებას, ქართველი ერი გულისხმიერებით აღიქვამს და დიდი ერთიანი ძალისხმევით თავის წვლილს შეიტანს.

დღეს საქართველოს დემოკრატიისა და აღორძინებისათვის უნდა ვიღვაწოთ, რათა მომავალში გვქონდეს ულრუბლო ზეცა, მშვიდობა, ჩვენი და ჩვენი შვილების საკეთილდღეოდ.

საქართველოს დემოკრატიისა და აღორძინების ფონდის პრეზიდენტი.

ფონდის წევრთა რეგისტრაცია მიმდინარეობს ყოველდღე. შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი ათონელის ქ. № 25. [illegible], 98-10-18 დილის 10 საათიდან, საღამოს 19 საათამდე.

საბანკო რეკვიზიტები

„იბერიაბანკი",
საქართველოს ეროვნული ბანკი,
საკორესპონდენტო ანგარიში
700161822 მფო 522771
დემოკრატიისა და აღორძინების ფონდი

Deutsche Bank A. G., Frankfurt/Main
9498387
International Bank for Economic
Co-operation, Moscow
090129204 JSU iberiabank, Tbilisi
Democracy and **REVIVAL FOUNDATION**

FRF
Credit Lyonnais S. A., Paris
049502 j
International Bank for Economic
Co-operation, Moscow
090129201 JSU iberiabank, Tbilisi
Democracy and **REVIVAL FOUNDATION**

Credit Lyonnais, New-York
01—00782—001—00
International Bank for Economic
Co-operation, Moscow
090129201 JSU iberiabank, Tbilisi
Democracy and **REVIVAL FOUNDATION**

USD
Banka Commerciale Italiana, Milan
466051004
International Bank for Economic
Co-operation, Moscow
090129201 JSU iberiabank, Tbilisi
Democracy and **REVIVAL FOUNDATION**

GBP
National Westminster Bank PLC
Overseas Branch, London 04538358

International Bank for Economic
Co-operation, Moscow
090129201 JSU iberiabank, Tbilisi
Democracy and **REVIVAL FOUNDATION**

Bank Exteroir de Espana-Madrid 12—66220—B ESP
International Bank for Economic
Co-operation, Moscow
090129201 JSU iberiabank, Tbilisi
Democracy and **REVIVAL FOUNDATION**

Bank of Tokya, Ltd. Tokyo 653—0426296 JPY
International Bank for Economic
Co-operation, Moscow
090129201 JSU iberiabank, Tbilisi
Democracy and **REVIVAL FOUNDATION**

Commonwealth Bank of Aoustralia, Sydney
1135—344501—099 AVD
International Bank for Economic
Co-operation, Moscow
090129201 JSU iberiabank, Tbilisi
Democracy and **REVIVAL FOUNDATION**

г. Тбилиси «Иберимабанк» Грузинский
Национальный Банк,
р/с. 700161322 ПФО 522771
Фонд Демократии и Возрождения
Валютный счет: г. Москва,
Международный Банк Экономического
Сотрудничества
«Иберимабанк»
кор. счет
в долларах США 090129201
в немецких марках 090129204

GURIT

ქარხნის შეძენა გსურთ?
- ინებეთ!

ჩვენი დახმარებით ყველა თქვენი პრობლემა გადაიჭრება.
ე/ს „გურიტი" თქვენს მიერ წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის საფუძველზე
შემოგთავაზებთ აშშ-ს წარმოების მცირე და საშუალო სიმძლავრის ქარხნებს:
-საკვები პროდუქტების წარმოების;
-სასმელების და თამბაქოს;
-ქსოვილების, ტანსაცმლის, ტყავის;
-ქაღალდის და ხის დამამუშავებელი;
-ქიმიური ნაწარმის;
-პლასტმასისა და რეზინის ნაწარმის;
-სატრანსპორტო აღჭურვილობის...

...და სხვა მრავალს.

გადახდა თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტით, შესაძლებელია ბარტერიც.
დაწვრილებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგი მისამართით:
გრიშაშვილის ქ. 20. საკონტაქტო ტელეფონები: 72-11-09, 72-26-11

მზად ვართ დაგეხმაროთ!

ე/ს „გურიტი"
სარეკლამო სააგენტო „მიმინო"

რეკლამა!

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ"
ᲓᲐ ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘᲡ
ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘ

ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲐ ● ᲤᲐᲥᲢᲘ ● ᲙᲝᲛᲔᲜᲢᲐᲠᲘ

ᲥᲐᲦᲐᲚᲓᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ, ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲘ ᲒᲐᲫᲕᲘᲠᲓᲔᲑᲐ

ᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘᲡ დამდეგს გაზეთების რედაქციები, რომლებიც გამომცემლობა „სამშობლოში" იბეჭდება, ხელმოწერას კვლავ აპირებენ. „საქართველოს რესპუბლიკის", „სვობოდნაია გრუზიას", „თბილისის", „ვეჩერნი ტბილისის", სხვა გაზეთების მკითხველები იძულებული გახდებიან დამატებითი საფასური შეიტანონ. მაგალითად, „საქართველოს რესპუბლიკის" ერთი ნომერი შეიძლება ორ მანეთამდეც გაძვირდეს.

— ნუ გაუკვირდებათ ჩვენს მკითხველებს ასეთი ფასები — განმარტა ეს ცნობა „სამშობლოს" დირექტორმა **ᲜᲝᲓᲐᲠ ᲯᲐᲕᲔᲚᲘᲫᲔᲛ.** — თუმცა, ფასები ჯერ კიდევ დაზუსტდება, მაგრამ ფაქტია, რომ დღეს გაზეთების გამოსვლა ვერ ანაზღაურებს მათს თვითღირებულებას. მაგალითად, „საქართველოს რესპუბლიკა" შარშან ერთი ნომერი 20 ათასი მანეთი ჯდებოდა, ახლა — 127 ათასი მანეთი ჯდება. გაიზარდა „სვობოდნაია გრუზიას" ნომრის თვითღირებულებაც — 5789 მანეთიდან 38 ათას მანეთამდე; „თბილისისა" — 10186-დან 52573 მანეთამდე, „ვეჩერნი ტბილისისა" — 3488-დან 23936 მანეთამდე:

— რით არის კონკრეტულად გამოწვეული ფასების ამგვარი ზრდა?

— არა მარტო ქაღალდის გაძვირებით, რომლის ფასი 1.300 მანეთიდან 22 ათასამდე გაიზარდა. მაგალითად, სტამბის შავი საღებავი ერთი კილოგრამი 2,5 მანეთის ნაცვლად დღეს 55 მანეთი ღირს, ფერადი საღებავის ფასმა 6,5 მანეთიდან 400 მანეთამდე მოიმატა, შრიფტის მატრიცებისათვის იძულებული ვართ თითოეულში 150 მანეთის ნაცვლად გადავიხადოთ 5 ათასი. არადა გამომცემლობას წლიური მოთხოვნა აქვს დაახლოებით 300 ცალისა.

— დღეს როგორი ვითარებაა?

— გამოცემებს შედარებით სტაბილურად იღებენ მხოლოდ „საქართველოს რესპუბლიკისა" და „სვობოდნაია გრუზიას" ხელმომწერები.

— როგორ არის გამოცემების საქმე, რომლებსაც ცოტა ხნის წინათ ცენტრალურს ვუწოდებდით?

— დიდი ჯაფითა და შეფერხებებით ვბეჭდავთ „იზვესტიას", „ტრუდს", „სოვეტსკი სპორტს".

— რა ელით სხვა გაზეთების ხელმომწერებს?

— სამწუხაროდ, სანუგეშოს ვერაფერს გეტყვით, როგორც ცნობილია, დიდი ფინანსური კითხვის ქვეშ დგას გაზეთების „პრავდისა" და „კომსომოლსკაია პრავდის" გამოსვლა. ხელშეკრულება არ არის დადებული „ნეზავისიმაია გაზეტასთანაც", რომელმაც საზღაური ვალუტით მოითხოვა. ხაზს ვუსვამთ, რომ ამგვარი სიტუაცია მარტო საქართველოში როდია. უკვე თვეზე მეტია გაზეთები არ გამოდის ბალტიისპირეთის სახელმწიფოებში, სამი თვეა — ბელორუსეთში. როგორც შეგვეძლო, ვუძლებდით, მაგრამ... ქაღალდის დეფიციტი შეიძლება აღმოიფხვრას, თუ მივიღებთ 70 მილიონ მანეთ სახელმწიფო დოტაციას. მთლიანად კი ჩვენს პრობლემებს გადაჭრის 100-120 მილიონი მანეთი.

ᲠᲘᲛᲐ ᲨᲔᲚᲘᲐ.

ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲙᲠᲘᲛᲘᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

ᲒᲐᲡᲣᲚ ᲙᲕᲘᲠᲐᲨᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲨᲘ ᲠᲔᲒᲘᲡᲢᲠᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲡᲘᲡᲮᲚᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡ 277 ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐᲒᲐᲜ „ᲪᲮᲔᲚ ᲙᲕᲐᲚᲖᲔ" ᲣᲙᲕᲔ ᲒᲐᲘᲮᲡᲜᲐ 187. ᲛᲝᲮᲓᲐ 12 ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲝᲑᲐ, 52 ᲫᲐᲠᲪᲕᲐ-ᲧᲐᲩᲐᲦᲝᲑᲐ, 118 ᲥᲣᲠᲓᲝᲑᲐ, ᲒᲐᲘᲢᲐᲪᲔᲡ 35 ᲐᲕᲢᲝᲛᲐᲜᲥᲐᲜᲐ, 89 ᲐᲕᲢᲝᲐᲕᲐᲠᲘᲐᲨᲘ ᲓᲐᲘᲦᲣᲞᲐ 12 ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ.

ᲨᲐᲠᲐᲑᲖᲘᲡ ᲧᲐᲩᲐᲦᲔᲑᲘ

ᲛᲐᲠᲢᲘᲡ ბოლოს ერთობ სახიფათო გახდა მგზავრობა ცენტრალური საავტომობილო გზატკეცილის გორი-ქარელის მონაკვეთზე, განსაკუთრებით ღამით.

29 მარტს ღამის სამ საათზე ტარიელ მატაკიშვილს ავტომანქანა ორმა უცნობმა ავტომატით დაუცხრილა. დაიჭრა ერთი მგზავრი.

ორი საათით ადრე კი სოფელ რუისთან სამი ავტომატიანი თავს დაესხა ხაშურის საკონსერვო ქარხნის ინჟინერს თემურ ლაცაბიძეს, დაჭრეს მუცლის არეში და გაიტაცეს მისი „ჟიგული".

ქარელის რაიონის მილიციის მუშაკებმა მეორე დღესვე დააკავეს ორივე თავდასხმის მონაწილე ყაჩაღები: სოფელ ავნევის მცხოვრებნი გიორგი დურგლიშვილი, მალხაზ კაცელაშვილი და მუხრანელი გოჩა ბიჭიაშვილი.

ᲠᲐᲡ ᲘᲢᲧᲕᲘ, ᲐᲙᲔᲚᲐ?

28 ᲛᲐᲠᲢᲡ, ღამის პირველ საათზე დანებით შეიარაღებული ხუთი ნიღბიანი თავს დაესხა ქარელში მცხოვრებ ქალა აჯიაშვილის ბინას. ქალების კივილზე მოცვივდნენ მეზობლები. ნიღბოსნები მიიმალნენ. მილიციის მუშაკებმა დაადგინეს მათი ასავალ-დასავალიც და ვინაობაც: ქარელის მეორე საშუალო სკოლის მოსწავლეები ჯონი ცხოვრებაშვილი და ლევან ფილიშვილი, ბებნისის საშუალო სკოლის მოსწავლე სპარტაკ შოშიაშვილი, მეორმოცე პროფტექნიკური სასწავლებლის მოსწავლეები ედიშერ ვართანიანი და ლევან ცხოვრებაშვილი.

ᲡᲐᲥᲝᲜᲚᲘᲡ ᲥᲣᲠᲓᲔᲑᲘ

30 ᲛᲐᲠᲢᲡ სიღნაღის რაიონის მილიციის თანამშრომლებმა დააკავეს აზერბაიჯანის რესპუბლიკის ყაზახის რაიონის მკვიდრი მეხტი ჯურალოვი, რომელმაც 28 მარტს სოფელ ქვემო ბოდბის მეურნეობის იერისპირა ფერმიდან 11 სული მსხვილფეხა პირუტყვი მოიპარა.

ვანის რაიონის აგრომრეწვის ავტომძღოლი უშანგი კვირიკაძე და ავტოსატრანსპორტო სახარობის ხელოსანი ჯაბა ქაფიძე კი საკუთარს მიაღწიენ — სოფელ მთისძირის ფერმიდან ხუთი ძროხა „გააპარეს". მილიციელებმა თელით ჩააბარებინეს უკანვე.

ᲙᲕᲚᲐᲕ ᲚᲘᲜᲩᲘᲡ ᲬᲔᲡᲘᲗ

ᲒᲐᲑᲝᲠᲝᲢᲔᲑᲣᲚᲘ ხალხი სულ უფრო ხშირად მიმართავს თვითგასამართლებას, რაც დამაფიქრებელია და საგანგაშოა.

18 თებერვალს ხაშურის რაიონის სოფელ ქინძათში მოძალადეებმა ქიტიაშვილის ჭიჭახის დიასახლისს და მის არასრულწლოვან ვაჟს ლევანს ყელი გამოჭრეს, გაიტაცეს ფული და ძვირფასეულობა.

ხაშურის მილიციის თანამშრომლებმა ათიოდე დღის წინ დააკავეს მკვლელები ამირან ღევაძე და გოჩა ლომიძე. სხვათა შორის, ამირან ღევაძეს დაუდგინდა შარშან 6 მაისს სოფელ ალში ჩადენილი კიდევ ერთი მკვლელობა.

30 მარტს სოფელ ქინძათის ასამდე მცხოვრები თავს დაესხა ხაშურის შინაგან საქმეთა განყოფილების დროებითი დაკავების იზოლატორს, გაიტაცეს პატიმრები, წაიყვანეს ქინძათში და სოფლის ცენტრში ჩაქოლეს, გვამები გამოაბეს ტრაქტორს და ჩაიტანეს გომი-სახხერის საავტომობილო გზატკეცილზე და ბოძზე ჩამოკიდეს.

ᲛᲒᲔᲚᲡ ᲪᲮᲕᲐᲠᲘ ᲛᲘᲐᲑᲐᲠᲔᲡ

ᲣᲣᲐᲖᲝ დასულ ჩვენს ეკონომიკას გასაძარცვავ-მოსაპარავი ბევრი არაფერი დარჩა, თუმცა სახელმწიფო ქონებაში წილის ფათურს მიჩვეული ხალხი მაინც არ ილევა. ამ ბოლო ხანებში განსაკუთრებით ისინი აქტიურობენ, ვისაც ამ ქონების დაცვა აქვთ დაკისრებული.

27 მარტს სამტრედიის რკინიგზის სადგურის შინაგან საქმეთა განყოფილების მუშაკებმა დააკავეს გასამხედროებული დაცვის ათეულის უფროსი ამირან მეფარიშვილი და სოფელ კულაშის მცხოვრები უმუშევარი გია ველაშვილი, რომლებმაც სატვირთო ვაგონებიდან 35 ათასი მანეთის სასურსათო და სხვა საქონელი მოიპარეს.

ᲨᲘᲜᲐᲒᲐᲜ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲞᲠᲔᲡᲪᲔᲜᲢᲠᲘ

ᲮᲣᲛᲠᲝᲑᲐᲒᲐᲨᲕᲔᲑᲘᲗ

ᲦᲛᲔᲠᲗᲝ, ᲐᲠ ᲛᲘᲡᲪᲔ ᲐᲡᲔᲗ ᲙᲐᲪᲡ...

ბრმების არჩეულს დაეწყო,
სიშლეგის ბოლო სტადია,
შეძმეთა სისხლის დაქცევა.
ჩეჩნების ხელით სწადია.

ძალაუფლების წყურვილმა,
ცოდვის წუმპეში ჩაძირა,
თავდება მაგის ბოგინი,
არც ეშველება აწი რა.

წყეულიმც იყოს, ტახტისთვის
ვინც საქართველო გაწირა!

სოფელი — ქალაქს, ტომი —
ტომს
ვინც მიუსია საკლავად,
ღმერთო, არ მისცე ასეთ კაცს
ქართული მიწა საფლავად.

ᲠᲣᲡᲚᲐᲜ ᲛᲘᲥᲐᲑᲔᲠᲘᲫᲔ.

●



ᲒᲠᲝᲖᲜᲝᲨᲘ ჯოხარ დუდაევისა და ზვიად გამსახურდიას ერთ-ერთ ბოლო პრესკონფერენციაზე გამსახურდიამ განაცხადა, საქართველოში ატომური ბომბი არის და ჩვენ საომრად ხალხი იცავს.

ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲘᲓᲐᲜ.

მხატვარი **ᲛᲣᲠᲗᲐᲖ ᲐᲑᲐᲨᲘᲫᲔ.**

●

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ „ᲬᲛᲘᲜᲓᲐ ᲘᲚᲘᲐ ᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ" ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

მიმდინარე წლის 8 აპრილს საზოგადოება „ცოდნის" დარბაზში გაიმართება საქართველოს წმინდა ილია მართლის საზოგადოების ყრილობა.

დღის წესრიგი:

საქართველოს ეროვნული პარტიის დაფუძნება.

რეგისტრაცია: 10 საათზე.

გამგეობის სახელით:

ᲒᲣᲠᲐᲛ ᲒᲝᲒᲑᲐᲘᲫᲔ.

ᲗᲣ ᲨᲔᲒᲘᲫᲚᲘᲐᲗ, ᲓᲐᲔᲮᲛᲐᲠᲔᲗ!

ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲠᲘᲕᲘ მოვალეობის შესრულების დროს მძიმედ დაჭრილი მილიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი **ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲒᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ** საჭიროებს გადაუდებელ ოპერაციას.

გთხოვთ ორგანიზაციებს და კერძო პირებს გამოიჩინოთ გულმოწყალება და დაეხმაროთ ავადმყოფს ვალუტით ან მანეთებით, რომლის სახელზეც გახსნილია ანგარიში; შემნახველი ბანკი 8580, ქ. თბილისის ვაკის რ-ნის ბინსოცბანკი 000164-201. მფო 521788, ანგ. 6215.

ᲛᲘᲚᲘᲪᲘᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘ.



ᲡᲘᲑᲔᲠᲔ

სანდრო მაჭავარიანის ფოტო.

ᲝᲠᲘ „ᲘᲛᲔᲓᲘᲡ" ᲛᲤᲚᲝᲑᲔᲚᲘ

ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ქართველმა მოცეკვავემ, თბილისის ქორეოგრაფიული სასწავლებლის მეორე კურსის სტუდენტმა, 16 წლის დავით მახათელმა მორიგ წარმატებას მიაღწია მოსკოვში ბალეტის მსახიობთა პირველ დამოუკიდებელ საერთაშორისო კონკურსზე. მან სულ ცოტა ხნის წინათ, შვეიცარიაში მიღებულ „იმედის" პრიზს კიდევ ერთი მიუმატა.

დამოუკიდებელმა კონკურსმა რომელიც ს. დიაგილევის დაბადების 120 წლისთავს მიეძღვნა, უფლება მისცა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ბალეტის მსახიობებს სურვილისამებრ მიეღოთ მასში მონაწილეობა. პაექრობაში ამჯერად ყოფილი საბჭოთის რესპუბლიკების გარდა მონაწილეობდნენ მოცეკვავეები საფრანგეთიდან, ესპანეთიდან, გერმანიიდან, ფილიპინებიდან, იაპონიიდან...

პაექრობის მონაწილენი ასაკის მიხედვით სამ ჯგუფად გაერთიანდნენ. დავით მახათელის ჯგუფში მონაწილეობდნენ 12-დან 17 წლამდე ასაკის მოცეკვავეები. აქ უმაღლეს ჯილდოდ „იმედის" პრიზი გათამაშდა და იგი დათოს არგუნეს.

ამავე კონკურსის ლაურეატები გახდნენ თბილისის ქორეოგრაფიული სასწავლებლის მეორე კურსის სტუდენტი ანა ალექსიძე და თბილისის საოპერო თეატრის მოცეკვავე დიმიტრი კუზნეცოვი. შედეგი ის არის, რომ დიმიტრი პროფესიულ დახელოვნებას განაგრძობს ციურიხის ქორეოგრაფიულ სასწავლებელში, ანა კი საფრანგეთის ერთ-ერთ სკოლაში. დიპლომებით აღინიშნა აგრეთვე მათი პედაგოგების ტატიანა ჯულუხაძისა და გია მარღანიას დამსახურება.

მკითხველებს შევახსენებთ, რომ დავით მახათელს შვეიცარიაში მოპოვებულმა წარმატებამ მონტე-კარლოსა და ინგლისის სამეფო თეატრის სკოლებში სწავლა არგუნა. ამ გზას იგი ივნისში გაუდგება.

ᲩᲝᲒᲐᲜᲘ.

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ:

ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲨᲓᲐ ᲡᲐᲛᲘ ᲢᲣᲠᲘ

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ჩემპიონატის მეორე წრეში გათამაშდა სამი ტური. ლიდერობს თბილისის „იბერია", მას 52 ქულა აქვს. მეორე ადგილზე 44 ქულით ლანჩხუთელები არიან, სოხუმის „ცხუმი" 42 ქულით მესამე ადგილზეა.

ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲐ ᲒᲣᲚᲨᲔᲛᲐᲢᲙᲘᲕᲠᲔᲑᲡ

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲨᲘ მოვიდა საქართველოს მსაჯთა რესპუბლიკური კოლეგიის თავმჯდომარის, ფიფას არბიტრის ბატონ ველოდი მიმინოშვილის მიმართვა გულშემატკივრებისადმი, სადაც ეროვნული ჩემპიონატის მომსახურე მსაჯთა და მსაჯ-ინსპექტორთა კორპუსის სახელით მოუწოდებს ყველა პატიოსან გულშემატკივარს რაინდული თავშეკავებისაკენ, თანადგომას სთხოვს სამართალდამცველ და ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს, რათა ჩემპიონატი უექსცესოდ ჩატარდეს.

ᲙᲝᲛᲔᲠᲪᲘᲐ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲨᲘ

ᲩᲕᲔᲜᲘ კორესპონდენტი ჰენრი შარიქაძე ზესტაფონიდან გვატყობინებს: კლუბის პრეზიდენტს თამაზ შარაშენიძეს და გუნდის ხელმძღვანელობას გადაწყვეტილი აქვთ გააუმჯობესონ ზესტაფონის „მარგვეთის" ფინანსური მდგომარეობა. კლუბთან გახსნილია ფირმა „მარგვეთი", რომელიც წელს 40 მილიონი მანეთის საქონლის რეალიზაციას გეგმავს. აქედან 25 მილიონი მთლიანად გუნდის ინტერესებს მოხმარდება. იმედოვნებენ, რომ შორს არ არის ის დღე, როდესაც ზესტაფონელები საერთაშორისო ტურნირებშიც ისახელებენ თავს.

ᲠᲐᲪ ᲨᲔᲔᲮᲔᲑᲐ „ᲘᲑᲔᲠᲘᲐᲡ"...

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ საფეხბურთო კლუბ „იბერიის" სახელწოდებასთან დაკავშირებით კვლავ მოდის წერილები, რომელთა ავტორების ერთი ნაწილი გვსაყვედურობს, „იმპერიული სახელწოდების" „დინამოს" აღდგენას ცდილობთო.

სამწუხაროდ, მწვავე რეზონანსი მიიღო რამდენიმე წერილმა, რომელთა ავტორები „დინამოს" სახელის აღდგენის მომხრენი არიან. ეს მათი აზრია. რედაქციას მსგავსი განზრახვა არ ჰქონია. ჩვენ უკვე ვთქვით, რომ უბრალოდ ფეხბურთის თემაზე გვსურდა მკითხველების გამოწვევა და არ გვიფიქრია ჩავრეულიყავით კლუბის საქმეებში. თუ უნებლიეთ აგაფორიაქეთ, ნუ დაგვძრახავთ. დარწმუნებული ვართ, ყველას ერთი სურვილი გვამოძრავებს: ვიხილოთ მაღალი კლასის ქართული ფეხბურთი. რაც ამ საქმეს წაადგება, იმ საკითხებზე კამათი კი, ალბათ, სასარგებლო იქნება.

ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲜᲐᲓᲘᲠᲐᲫᲔ.

P. S. თუ თვალყურს ადევნებთ კალათბურთში ევროპულ ტურნირებს, შეამჩნევდით, თუ როგორ ხშირად იცვლება იტალიური კლუბების სახელწოდებები.

სხვადასხვა ფირმები ყიდულობენ კლუბებს და ფირმის სახელწოდებებს არქმევენ. ზოგი იტალიური არც კია. მე არ ვიცი, მოსწონთ თუ არა ეს იტალიელებს. ერთი კი ვიცი — დრო სწრაფად იცვლება, „იბერიამ" თავი რომ ვერ შეინახოს, ვერ ვუპატრონოთ და უცხოურმა ფირმამ იყიდოს, დავუშვათ „კოკა კოლამ", და გუნდს რაც მოესურვება, ის დაარქვას, არ მეამება. თუმცა მას კანონით, ალბათ, ვეღარ შევედავები. ამიტომ, ნუღა ვუსაყვედურებთ ერთმანეთს, სჯობს შეძლებისდაგვარად დავეხმაროთ ნოდარ ახალკაცს და „მის გუნდს" ქართული ფეხბურთის აღორძინებაში.

●

ᲭᲐᲓᲠᲐᲙᲘ:

ᲩᲕᲔᲜᲪ ᲓᲘᲓ ᲝᲯᲐᲮᲨᲘ

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ჭადრაკი აღიარებულია მსოფლიოში, მაგრამ იგი არასოდეს ყოფილა ფიდე-ს (საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაცია) წევრი, რადგან იქ მას ყოფილი საბჭოთა კავშირის ჭადრაკის ფედერაცია წარმოადგენდა.

22-23 მარტს ქ. გრაცში (ავსტრია) ფიდე-ს აღმასკომმა საქართველოს ჭადრაკის ფედერაცია დროებით (ხუთი წლით) წევრად მიიღო. მაგრამ როგორც კი საქართველო გაეროს წევრი გახდება, ჩვენი ჭადრაკის ფედერაცია ფიდე-ში მოჭადრაკეთა ამ დიდ ოჯახში მუდმივ ადგილს დაიმკვიდრებს. საქართველოდან აღმასკომის სხდომებს ესწრებოდნენ ფიდე-ს ქალთა კომისიის თავმჯდომარე, დიდოსტატი ნ. ალექსანდრია და რესპუბლიკის ჭადრაკის ფედერაციის გენერალური მდივანი გ. სიხარულიძე.

ფიდე-ს წევრად შილებამ ჩვენს მოჭადრაკეებს ფართოდ გაუღო დიდი საერთაშორისო შეჯიბრებების კარი. სულ მალე (ივნისი, ქ. მანილა) საქართველოს ნაკრები პირველად მიიღებს მონაწილეობას ქალთა და ვაჟთა მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადებში. იგი თავისი დროშით, ემბლემითა და ჰიმნით წარსდგება ამ გრანდიოზულ ფორუმზე. ნორჩი მოჭადრაკეები სხვადასხვა ასაკის მსოფლიო პირველობებში მიიღებენ მონაწილეობას.

ახლახან თბილისში დამთავრდა 12, 14, 16, 18, 20 წლამდე ასაკის გოგონათა მსოფლიო პირველობის შესარჩევი ტურნირები. პირველი ადგილის მფლობელები გაემგზავრებიან მსოფლიო, მეორესი ევროპის პირველობაზე. გთავაზობთ ამ ტურნირების პირველი-მეორე პრიზიორების ვინაობას: 12 წლამდე — 1. ლილე ცალუღელაშვილი, 2. თინა ყვალიაშვილი (ორივე — თბილისი), 14 წლამდე — 1. ნათია აფხაიძე, 2. სოფიკო ტყეშელაშვილი (ორივე — ქუთაისი), 16 წლამდე — 1. მაია ლომინეიშვილი, 2. თამარ ფაჩულია, 18 წლამდე — 1. თეა ლანჩავა, 2. ნატო ეძგვერაძე, 20 წლამდე — 1. სოფიკო ნიკოლაძე, 2. ნინო ხურციძე (ყველა — თბილისი).

უკვე რამდენიმე დღეა ჭადრაკის სასახლეში ჭაბუკთა მსგავსი შესარჩევი ტურნირები მიმდინარეობს.

ცნობილია, რომ 12, 14, 16 და 18 წლამდე ნორჩებისთვის მსოფლიო პირველობები გაიმართება გერმანიაში, ქალაქ დიუსბურგში (29 ივნისი — 12 ივლისი), ხოლო 20 წლამდე ყმაწვილებისთვის არგენტინაში, ქალაქ ბარილოჩეში (14-21 ოქტომბერი). 12, 14, 16 წლამდე მოჭადრაკეთა ევროპის პირველობებს უმასპინძლებს ჩეხეთსლოვაკეთის ქალაქები რიმხვსკა-სობოტა (1-15 აგვისტო), ხოლო 20 წლამდე ნორჩებს გრადეც-კრალოვე (29 აპრილი — 12 მაისი). 18 წლამდე მოჭადრაკეთა პირველობა არ ჩატარდება.

ᲗᲔᲜᲒᲘᲖ ᲒᲘᲝᲠᲒᲐᲫᲔ,
საერთაშორისო არბიტრი

ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲗᲮᲝᲕᲐᲠᲘ

ᲔᲙᲐᲢᲔᲠᲘᲜᲔ ᲛᲘᲥᲐᲑᲔᲠᲘᲫᲔ

ქართველ ჟურნალისტთა რიგებს გამოაკლდა რესპუბლიკის დამსახურებული ჟურნალისტი, საქართველოს რადიოს საყმაწვილო პროგრამების მთავარი რედაქტორი **ᲔᲙᲐᲢᲔᲠᲘᲜᲔ ᲛᲘᲥᲐᲑᲔᲠᲘᲫᲔ.**

მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება ქალბატონმა ეკამ ბავშვთა აღზრდის საქმეს შეალია. იგი გამოირჩეოდა მაღალი პროფესიონალიზმით, თავისი საქმის უსაზღვრო სიყვარულით. ქალბატონმა ეკამ ბევრი საინტერესო გადაცემით გაამდიდრა საქართველოს რადიოს ფონდი. მისი ხელმძღვანელობითა და ავტორობით მომზადებულ საყმაწვილო პროგრამებზე ბავშვთა რამდენიმე თაობა აღიზარდა.

1991 წლის თებერვალში, როცა მისთვის კოლეგებს ჟურნალისტური მოღვაწეობის 35 წლისთავი უნდა მიელოცათ, დეპარტამენტის მაშინდელმა ხელმძღვანელობამ მისთვის არასაიმედოდ მიჩნეული 160 ჟურნალისტთან ერთად ეკატერინე მიქაბერიძეც გაათავისუფლა სამსახურიდან.

ამან მოუსწრაფა სიცოცხლე ღვაწლმოსილ ჟურნალისტს.

დეპარტამენტის ახალმა ხელმძღვანელობამ აღადგინა სამართალი და პროფესიონალი ჟურნალისტი საყმაწვილო პროგრამების მთავარ კონსულტანტად დანიშნა, მაგრამ იგი ველარ დაუბრუნდა კოლექტივს, რომლის ხსოვნაშიც სამუდამოდ დარჩება შესანიშნავი ადამიანი.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲠᲐᲓᲘᲝᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲓᲔᲞᲐᲠᲢᲐᲛᲔᲜᲢᲘ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲗᲐ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ.

●

ᲘᲕᲐᲜᲔ ᲨᲐᲘᲨᲛᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

81 წლისა გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი გენერალი **ᲘᲕᲐᲜᲔ ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘᲡ ᲫᲔ ᲨᲐᲘᲨᲛᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ.** იგი დაიბადა 1910 წლის 25 სექტემბერს ქ. თბილისში, მუშის ოჯახში. 1927 წელს შევიდა ამიერკავკასიის ქვეითთა სამხედრო სკოლაში, რომლის დამთავრების შემდეგ სამხედრო სამსახურს გადიოდა ქართულ მსროლელთა დივიზიაში სხვადასხვა სამეთაურო თანამდებობაზე.

მეორე მსოფლიო ომის წლებში ივანე შაიშმელაშვილი იმყოფებოდა მოქმედი არმიის რიგებში.

1958 წელს სამხედრო აკადემიის დამთავრების შემდეგ იყო მსროლელთა ბატალიონის და ლეგიონის მეთაური, ქართული დივიზიის შტაბის უფროსი.

წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა საქართველოს სამოქალაქო თავდაცვის შტაბს.

სამხედრო სამსახურის დამთავრების შემდეგ ი. დ. შაიშმელაშვილი ეწეოდა ნაყოფიერ მეცნიერულ და საზოგადოებრივ მოღვაწეობას, იყო ქართული ენციკლოპედიის სამხედრო სექციის თავმჯდომარე, მწერალთა კავშირის წევრი. გამოცემული აქვს მრავალი წიგნი და ნარკვევი სამხედრო ხელოვნების ისტორიაზე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მის მიერ შედგენილი „რუსულ-ქართული სამხედრო ტერმინოლოგია", ორიგინალური ნაშრომები „კრწანისის ბრძოლა", „დიდგორი", „მარაბდა" და სხვა.

წავიდა ჩვენგან ქართველი ხალხის ღირსეული შვილი, დიდი სულის და პირადი კდემამოსილების მქონე ადამიანი, რომლის ხსოვნაც სამუდამოდ დარჩება ჩვენს გულში.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲗᲐᲕᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ.

ᲨᲔᲘᲥᲛᲜᲐ ᲘᲕᲐᲜᲔ ᲨᲐᲘᲨᲛᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲙᲠᲫᲐᲚᲐᲕᲘ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტრომ შექმნა ი. დ. შაიშმელაშვილის დამკრძალავი კომისია გენერალ-ლეიტენანტ მ. ელბაქიძის თავმჯდომარეობით.

ი. დ. შაიშმელაშვილის დაკრძალვის ხარჯებს სახელმწიფო გაიღებს.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქცია თანაგრძნობას უცხადებს გაზეთ „ლელოს" რედაქტორს თენგიზ გაჩეჩილაძეს შვილის — **ᲕᲐᲛᲔᲮᲘᲡ** ტრაგიკულად დაღუპვის გამო.

მთავარი რედაქტორი ᲖᲣᲠᲐᲑ ᲮᲝᲑᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲠᲔᲙᲚᲐᲛᲐ

ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲑᲐᲜᲙᲘ

ᲒᲐᲪᲕᲐᲚᲔᲗ ᲡᲜᲔᲣᲚᲘ ᲤᲣᲚᲘ ᲯᲐᲜᲡᲐᲦ ᲐᲥᲪᲘᲔᲑᲖᲔ!

„ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲑᲐᲜᲙᲛᲐ" დაასრულა პრივილეგიური აქციების გაყიდვა, რომელთა გარანტირებული დივიდენდი წლიური 18%-ია.

გრძელდება ხელმოწერა „ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲑᲐᲜᲙᲘᲡ" უბრალო სახელობით აქციებზე!

აქციის ფასი საკურსო დანამატით 1050 მანეთია.

უბრალო აქციების მოსალოდნელი დივიდენდი წლიურად 20% შეადგენს. 30 პროცენტი დივიდენდების საერთო თანხიდან თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტით გაიცემა მოქმედი კურსის შესაბამისად.

ფული გადარიცხეთ სააქციონერო კომერციული ბანკის „კავკასიის ბანკის" საკორესპონდენტო ანგარიშზე № 700161021, საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის საოპერაციო სამმართველოში. კოდი 522782.

ნაღდი ფულით აქციების შეძენა შეიძლება „კავკასიის ბანკის" სალაროში.

მისამართი: ვაჟა-ფშაველას 72, ტელ.: 30-44-85. ან მის ოფიციალურ დისტრიბიუტორთა საბროკერო ფირმა „ჩელაში", მისამართი: ვაჟა-ფშაველას 72, ა-147 ოთახი, ტელ.: 31-95-70, 38-46-75, ყოველ სამუშაო დღეს, 10-დან 15 საათამდე, აგრეთვე ქ. რუსთავში, გაგარინის, 8. სამუშაო დღეების პირველ ნახევარში. ტელ.: 12-30-47, 12-09-87, ტელეტაიპი 327277, „პოლიოტი".

სააქციონერო კომერციული ბანკი „კავკასიის ბანკი", სააგენტო „გალარეკლამა".

ᲛᲔᲢᲠᲝ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐᲡ ᲐᲮᲐᲜᲒᲠᲫᲚᲘᲕᲔᲑᲡ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ მეტროპოლიტენის სადგურების კარი 3 აპრილიდან ერთი საათით ადრე — 19 საათზე დაიკეტა. რეზერვები რომ გამოძებნეს, ასეთი გადაწყვეტილება გამოიტანეს „საქენერგოს" და მეტროპოლიტენის ხელმძღვანელებმა.

„საქენერგოს" გენერალური დირექტორის იური ჭედიას განცხადებით, ჯერ კიდევ რამდენიმე კვირის წინ აღდგენითი სამუშაოების განხორციელების შემდეგ უნდა ამოქმედებულიყო 500 კილოვატიანი ელექტროგადამცემი ხაზი „ომარი შარის" რაიონში. მაგრამ ზვავების გამო ეს ვერ მოხერხდა. მალე ეს მაღალი ძაბვის ხაზი ამოქმედდება და მაშინ, კომენდანტის საათის მოქმედების ვადის გათვალისწინებით, ენერგეტიკოსები მეტროპოლიტენს 22 საათამდე მუშაობის შესაძლებლობას მისცემენ.

ᲠᲔᲙᲚᲐᲛᲐ

ᲤᲘᲠᲛᲐ „ᲙᲝᲜᲢᲠᲐᲡᲢᲘ" ᲓᲐᲒᲔᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐᲗ

ბინების, აგარაკების ყიდვა-გაყიდვაში, აშენება-გაფართოებასა და შესყიდვა-დაკანონებაში.

ფირმა „კონტრასტის" სახით თქვენ შეიძენთ საქმიან და სანდო პარტნიორს.

ვეცდებით უმოკლეს დროში გავაფორმოთ ყველა საჭირო დოკუმენტი.

შუამავალს ბინის ყიდვაში ან გაყიდვაში ფირმა გადაუხდის ბინის ღირებულების 2%-ს.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘᲐ: თბილისი, ბორჯომის ქ. № 4.

ტელ.: 84-74-08.

ᲒᲐᲕᲐᲖᲘ
ᲡᲐᲓᲐᲖᲦᲕᲔᲕᲝ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐ

ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲡ, ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲡ, ᲤᲘᲠᲛᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲔᲠᲫᲝ ᲞᲘᲠᲔᲑᲡ

ᲡᲐᲓᲐᲖᲦᲕᲔᲕᲝ კომპანია „ᲒᲐᲕᲐᲖᲘ" გთავაზობთ უნივერსალურ სადაზღვევო მომსახურებას თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ სფეროში.

გადასახდელის ყველაზე დაბალი განაკვეთი და ზარალის ოპერატიული ანაზღაურება თქვენთვის ხელსაყრელი პირობებია, რომელთა შექმნაც მხოლოდ „გავაზს" შეუძლია.

მოგვმართეთ შემდეგ მისამართზე: თბილისი, ვაჟა-ფშაველას 43, ტელ.: 39-55-67, 39-11-64.

ᲒᲐᲮᲡᲝᲕᲓᲔᲗ!

ცხოვრება სავსეა მოულოდნელობით. „ᲒᲐᲕᲐᲖᲘ" თქვენი ფინანსური წონასწორობის გარანტია!

მისამართი: 380096, თბილისი, 8. კოსტავას ქ. № 14. ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26; წერილების რედაქცია 99-73-24. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კომბინატში, ხოშარაულის ქ. № 29. ინდექსი 64434.